# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 5 აგვისტო. 2021 წ. №166 (9285) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი





იხ. 3 გვ.

## დედაქალაქის საუკეთესო მერი და მეტი სიცოცხლის „ბიჭები“ თბილისის ყველა უბანში

## ოქროს კაცი




იხ. 10 გვ.

## სალომე ზურაბიშვილი: ჩვენ მოვითხოვთ უცხოეთისგან პატივისცემას და გვაღიზიანებს მათი მითითებები, კრიტიკა, პატივისცემა რომ დავიმსახუროთ, თავად უნდა ვცემდეთ პატივს ჩვენს თავსა და სიტყვას

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, ნამდვილი პატრიოტიზმი მოითხოვს, რომ ქვეყნის ინტერესი დავაყენოთ ყველაფერზე მაღლა.

**„გამოწვევა ჩვენს ევროპულ გზას ეხება, რომელსაც ჩემი ამ ქვეყანაში ჩამოსვლის დღიდან ვაიგივებდი და ვაიგივებ საქართველოს ერთადერთ ჭეშმარიტ გზასთან, ამ გაიგივებაში მარტო არ ვარ, ჩვენი წინაპრები იყვნენ, ილია და ნიკო ნიკოლაძე, სულხან-საბა და ექვთიმე, არა იმიტომ, რომ უცხოეთის დაკრულზე ცეკვავდნენ, არა იმიტომ, რომ საკუთარ მეობას არ იცავდნენ ან იდენტობის დაცვა ჩვენზე ნაკლებად ენაღვლებოდათ, არამედ მათ კარგად ესმოდათ, რომ ევროპას, როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოდელსა და როგორც მოკავშირეს, ალტერნატივა არ გააჩნია. მცდელობები, რომ დაგვაჯერონ მავანმა, თითქოს ევროპა, თავისუფლება, სოლიდარობა, ქრისტიანობა კი არა, არამედ**



**გარყვნილების გზაა, სწორედ ერთადერთ პერსპექტივასთან ჩვენს დაშორებას ემსახურება და კარგად გვესმის, ეს ვის ინტერესშია. აქაც, როგორც პანდემიასთან ბრძოლაში, ნამდვილი პატრიოტიზმი მოითხოვს, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესი დავაყენოთ ყველაფერზე მაღლა“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, პატრიოტიზმი ნიშნავს, რომ ქვეყანა ისე დაიცვა და გაუფრთხილდე, როგორც იცავ საკუთარ სახეს და სახელს, რამეთუ ვერავინ ვერ დაგამციროს და პატივისცემა დაგაკლოს.

**„ჩვენ მოვითხოვთ უცხოეთისგან პატივისცემას და გვაღიზიანებს მათი მითითებები, კრიტიკა, თუ გახშირებული შენიშვნები. იმისათვის, რომ პატივისცემა დავიმსახუროთ და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თავისი განვლილი გზით, საქართველო ამას იმსახურებს, ჩვენ თავად უნდა ვცემდეთ პატივს ჩვენს თავსა და სიტყვას. ე.ი. ნაკისრ ვალდებულებებს ვასრულებდეთ, რაც არის ნდობის მოპოვებისა და შენარჩუნების წინაპირობა. ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ქვეყანას გარეთ ძირს არ უნდა ვუთხრიდეთ და ვიწროპარტიული მიზნების მისაღწევად არ უნდა ვეწეოდეთ აქტიურ სადისკრედიტაციო კამპანიას“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

იხ. 2 გვ.

## საქართველოს პრეზიდენტი: ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას შარლ მიშელის დოკუმენტის ცალკეულ ელემენტებზე, რომლებიც მხარეებს შორის იყო შეთანხმებული და ვერც მის ანულირებაზე

## დიდგორობის დღესასწაული მასშტაბურად აღინიშნება

**12 აგვისტოს დიდგორის ბრძოლიდან 900 წელი შესრულდება. „ძლევაი საკვირველის“ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს მთავრობის ორგანიზებით მასშტაბური ღონისძიება იგეგმება, რომლისთვისაც მზადება უკვე დაიწყო.**

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დიდგორის ბრძოლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით რეპეტიციები სხვადასხვა ლოკაციაზე მიმდინარეობს. ერთ-ერთ ლოკაციას წარმოადგენს გელათის სამონასტრო კომპლექსი, სადაც საქართველოს თავდაცვის ძალების ოთხი დანაყოფი მონაწილეობს — ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის, II ქვეითი ბრიგადისა და ეროვნული გვარდიის სარიტუალო ასეულის პირადი შემადგენლობა, ასევე დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერები.

**„12 აგვისტოს დიდგორის მემორიალსა და მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე გელათის სამონასტრო კომპლექსსა და გეგუთის სასახლის ტერიტორიაზე შთამბეჭდავი თეატრალიზებული სანახაობით საქართველოს ისტორიის მე-12 საუკუნის მნიშვნელოვანი ეპიზოდი გაცოცხლდება. ღონისძიებაში საქართველოს თავდაცვის ძალებთან ერთად სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფი და ქართველი მომღერლები მიიღებენ მონაწილეობას. დიდგორობის დღესასწაულზე სამხედრო მოსამსახურეების დაჯილდოებაც იგეგმება“,** — ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.





## ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენ მიერ დაგეგმილი თითოეული რეფორმა, პროგრამა, პროექტი ემსახურება ხალხის კეთილდღეობას

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იუსტიციის სამინისტროს ათწლიანი განვითარების გეგმის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა.**

მან აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამინისტროა ჩვენს ქვეყანაში, მთავრობაში, რომელიც ორიენტირებულია, ზოგადად, მოქალაქეებისთვის, პირველ რიგში, ხელმისაწვდომი სერვისების მიწოდებაზე.

**„დღეს ჩვენ წარმოგიდგენთ იუსტიციის სამინისტროს განვითარების გეგმას, ხედვას. ჩვენ დავიწყეთ გრძელვადიანი ხედვების პრეზენტაცია, ჩვენს მოსახლეობას ვუხსნით, თუ რას ვგეგმავთ მომდევნო წლების განმავლობაში, როგორ გვესახება ჩვენი ქვეყნის განვითარება. ჩვენ მიერ დაგეგმილი თითოეული რეფორმა, პროგრამა, პროექტი, რა თქმა უნდა, ემსახურება ხალხის კეთილდღეობას, ჩვენი მოქალაქეების პირობების გაუმჯობესებას, მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფას და რაც მთავარია, საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას.**

**მანამ, სანამ ბატონი მინისტრი წარმოადგენს თავის ხედვას, მე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან წარმატებულად დაიწყო ბატონმა რატიმ მოღვაწეობა სამინისტროში, მის გუნდთან ერთად ძალიან საინტერესო ინიციატივები, პროექტები, იდეები შეიმუშავეს, რომელსაც დღეს წარმოგიდგენთ დეტალურად.**

**ძალიან მოკლედ მინდა გითხრათ, რომ იუსტიციის სამინისტრო არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამინისტრო ჩვენს ქვეყანაში, მთავრობაში, რომელიც ორიენტირებულია, ზოგადად, მოქალაქეებისთვის, პირველ რიგში, ხელმისაწვდომი სერვისების მიწოდებაზე. ასევე, ჩვენ ვგეგმავთ და ამაზე ბატონი მინისტრი ისაუბრებს, ჯერ კიდევ რჩება გამოწვევად, მაგალითად საბჭოთა კანონმდებლობა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ჩვენს დღევანდელ რეალობაში. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, რომ მომდევნო წლების განმავლობაში, სრულად იქნას ჩანაცვლებული საბჭოთა მემკვიდრეობა, საბჭოთა კანონმდებლობა, თანამედროვე, ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრულ ჰარმონიზაციაში უნდა მოვაქციოთ მთლიანად, მთელი საკანონმდებლო სივრცე“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, დაგეგმილი არის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები და ინიციატივები, რომლებიც ემსახურება ჩვენი მოქალაქეებისთვის კიდევ უფრო კომფორტული სერვისების მიწოდებას ადგილზე, ყველა მუნიციპალიტეტსა და სოფელში.

**„ამ მიმართულებით, ჩვენმა მთავრობამ ძალიან ბევრი გააკეთა, ჩვენ ვავითარებთ იუსტიციის სახლებს, ასევე საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას ყველა მუნიციპალიტეტში და თანმიმდევრულად განვითარდება ეს პროექტი. ამას გარდა, ბატონ მინისტრს აქვს გეგმა, რომ ყველა მუნიციპალიტეტში აშენდეს იუსტიციის სახლი, მათ შორის, თბილისში დაიწყოს ყველა რაიონში, უბანში“,** — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა..

## მთავრობის მეთაური შეეხო ციხეებში არსებულ ვითარებასაც

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ციხეებში არსებული ვითარება იყო 2012 წელს მმართველი გუნდის გამოწვევა.

**„ძალიან საინტერესო იდეები აქვს ბატონ რატის პენიტენციურ დაწესებულებებთან დაკავშირებით. ციხეებში არსებული ვითარება იყო ჩვენი ხელისუფლების გამოწვევა, როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში 2012 წელს. წამება და არაადამიანური მოპყრობა იყო ყოველდღიური პრაქტიკა ციხეებში, რაც ჩვენ, 2012 წელს, მოსვლისთანავე დავასრულეთ და დღეს გვაქვს სანიმუშო, სამაგალითო ვითარება ციხეებში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ევროპის მასშტაბით ერთ-ერთ მოწინავე რიგებში ვართ“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

## სალომე ზურაბიშვილი: ჩვენ მოვითხოვთ უცხოეთისგან პატივისცემას და გვაღიზიანებს მათი მითითებები, კრიტიკა, პატივისცემა რომ დავიმსახუროთ, თავად უნდა ვცემდეთ პატივს ჩვენს თავსა და სიტყვას

(პირველი გვერდიდან)

მისივე თქმით, სამარცხვინოა, როცა საქართველოს მოქალაქეები აქტიურობდნენ, რათა ქვეყნის სახე შელახონ ან მოითხოვონ ქვეყნის სხვადასხვა ფორმით დასჯა.

**„დამოუკიდებლობა ვერ და არ უნდა ნიშნავდეს რაიმე ფორმის იზოლაციონიზმს, რამეთუ, როგორც კი მარტო რჩები, დასუსტებული, ძალაგამოცლილი, ბუნებრივად, ხდები იმის სამიზნე, ვისაც მუდმივი სწრაფვა ჰქონდა და აქვს გაფართოებისა და შენი დამორჩილებისკენ. ჩვენს რეგიონსა და მსოფლიოში არსებული დღევანდელი რეალობა ყველას კარგად უნდა ესმოდეს, განსაკუთრებით ჩვენსავით პატარა ოკუპირებული ტერიტორიების მქონე ქვეყანას, ეს ჩვენს წინაპრებს კარგად ესმოდათ და სწორედ ასე მოიყვანეს ეს ქვეყანა დღემდე, რეალური მოკავშირეების გამუდმებული ძებნით, რათა თავიდან აგვეცილებინა იმ დროისთვის ყველაზე დიდი საფრთხე, ამას ერქვა დიპლომატია და ამ ხელოვნებას უმაღლეს დონეზე ვფლობდით. დღესაც ჩვენი არჩეული პარტნიორები და მათთან მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენი საუკეთესო დასაყრდენია, ჩვენი განვითარების საფუძველი და უალტერნატივო გზა დეოკუპაციისკენ.**

**მიმაჩნია და ვუთხარი კიდეც მმართველი პარტიის წარმომადგენლებს, რომ დოკუმენტის მომზადების პროცესი უაღრესად პოზიტიური გახლდათ, რამეთუ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის და დღეს ევროკავშირის მთავარი პოლიტიკური ფიგურის ჩართულობა საქართველოს პროცესებში კავკასიასა და ზოგადად ევროკავშირის ახლო სამეზობლოში ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არის რეალური ხიდი, ჩვენსა და ევროპას შორის. ეს უნდა გვესმოდეს, ვაფასებდეთ, ვიყენებდეთ და ვუფრთხილდებოდეთ“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

## საქართველოს პრეზიდენტი: ეს არჩევნები უნდა იყოს სამაგალითო, ძალადობის, სიძულვილის ენის, პირადი ცხოვრების მონაცემების გამოყენების, ფეიკნიუსების გავრცელებისა და ზეწოლის გარეშე

**„წინ გვაქვს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომლის დანიშვნასაც უკვე მოვაწერე ხელი. ეს არჩევნები უნდა იყოს სამაგალითო, დაცული უნდა იყოს ყველა სუბიექტის უფლებები, რაც გამორიცხავს ძალადობას, სიძულვილის და შეურაცხყოფის ენას, პირადი ცხოვრების მონაცემების გამოყენებას, კონკურენტის მოღალატედ გამოცხადებას, მედიისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლას, ფეიკნიუსების გავრცელებასა და სხვადასხვა სახის ზეწოლას. ასეთ არჩევნებსა და ასეთ საარჩევნო გარემოს ელოდება ჩვენგან ჩვენი მოსახლეობა.**



**მე, როგორც ამ ქვეყნის დემოკრატიულობის, სტაბილურობისა და ევროპულობის გარანტი, მოვუწოდებ მათ ჩართულობისა და აქტიურობისკენ. ამას ელოდება ყველა ჩვენი პარტნიორი და მათ უნდა ვთხოვოთ, მრავალრიცხოვანი სადამკვირვებლო მისიები გამოგზავნონ. ამ ქვეყანაში უნდა ჩატარდეს დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები და ვერავინ უნდა შეძლოს ჩვენი ევროპული გზისთვის ზიანის მიყენება, ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც გარეთ. ამისთვის ჩამოვედი საქართველოში და ამისთვის ვიქნები აქ“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

## ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას შარლ მიშელის დოკუმენტის ცალკეულ ელემენტებზე, რომლებიც მხარეებს შორის იყო შეთანხმებული და ვერც მის ანულირებაზე

**მე პირადად ვიღებ ერთგვარ პასუხისმგებლობას და ვამაყობ კიდეც იმით, რომ ხელი შევუწყვე ევროკავშირის ჩართულობას მაშინ, როცა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი ჩიხში შედიოდა. თუმცა, ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას დოკუმენტის ცალკეულ ელემენტებზე, რომლებიც იყო მხარეებს შორის შეთანხმებული და ვერც მის ანულირებაზე,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

**„დღეს პოსტფაქტუმ იმის აღმოჩენა, რომ თურმე ისეთი რაღაცები დავთმეთ, რაც მიუღებელი ყოფილა და რამაც შესაძლოა, ქვეყანა დააზიანოს, გაუგებარია. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, წითელი ხაზების ხელმოწერამდე გავლება ვიცი. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ეს პროცესი, რომელიც დგას ამ დოკუმენტის უკან, მიზნები, რომლებსაც ეს დოკუმენტი ისახავს და პრინციპები, რომელსაც ეს დოკუმენტი ეფუძნება, ამოწურული არ არის და წარმოადგენს იმ გზას, რომელიც ამ ქვეყანამ აუცილებლად უნდა გაიაროს და რომელსაც ვუჭერ მხარს“,** — განაცხადა ზურაბიშვილი.

ამასთან, პრეზიდენტმა შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმომწერ პარტიებს მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ საარჩევნო ბარიერის დაწევის შეთანხმებაც შესრულდება.

## არჩილ თალაკვაძე: ოპოზიციამ რაც არ უნდა წინასწარ იძახოს, რომ ეს არის ცუდი არჩევნები, არჩევნები ჩატარდება დემოკრატიულად და თავისუფლად

**პირველი, ისინი ცდილობენ არჩევნების წინასწარ დისკრედიტაციას და მეორე — ფონს იქმნიან იმისთვის, რომ კიდევ ერთი დამარცხების შემთხვევაში თავის მხარდამჭერებს უთხრან: „ჩვენ კი გავიმარჯვეთ, მაგრამ ბატონმა კალანდარიშვილმა წაგვართვა არჩევნები,** — ამის შესახებ არჩილ თალაკვაძემ „იმედის ფაქტორში“ ოპოზიციაზე საუბრისას განაცხადა.



პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ცესკოს ახალ თავმჯდომარეს წარმატებები უსურვა და გიორგი კალანდარიშვილის კანდიდატურას ოპოზიციამაც მაღალი შეფასება მისცა, თუმცა მხარი არ დაუჭირა იმიტომ, რომ უკან დასახევი გზა დაიტოვეს.

**„მათ სურთ სახე შეინარჩუნონ ამგვარად, რომ შემდეგ თავის ამომრჩეველს უთხრან: „კიდევ ერთხელ წავაგეთ იმიტომ, რომ ბატონმა კალანდარიშვილმა წაგვართვა არჩევნები. თუმცა მერე ამის შემოწმებაც არ მოუნდებათ, იმ ყუთებსაც არ გახსნიან, იმ შედეგებსაც არ გადათვლიან და აი ასე იქნებიან საკუთარ ქვეყანასთან ცივი ომის რეჟიმში“,** — განაცხადა თალაკვაძემ.

## კიდევ ერთი სპეკულაცია

**„მეგობარ და პარტნიორ სახელმწიფოებში მაღალი დონის ვიზიტებზე (პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და სხვა) საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობს მთელი წლის განმავლობაში, მათ შორის, ბუნებრივია, ბალტიის სახელმწიფოებში, რომლებიც საქართველოს აქტიური მხარდამჭერი და მეგობრები არიან.**

**რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს 8-9 აგვისტოს იგეგმებოდა პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ესტონეთსა და ლატვიაში, ეს არის სამწუხარო სპეკულაცია თემაზე, რადგან ამ თარიღებში ვიზიტი ბუნებრივია ვერ დაიგეგმებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს გახლავთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თარიღი ჩვენი ქვეყნისთვის.**

**ზოგადად, არსებული პრაქტიკით, მაღალი დონის ვიზიტების შესახებ საზოგადობას ეცნობება ვიზიტის დაგეგმვის პროცესში მხარეებს შორის თარიღის შეთანხმების შემდგომ“,** —ამის შესახებ imedinews-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტში განუცხადეს.

მანამდე რამდენიმე მედიასაშუალებაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ბალტიის ქვეყნებმა ირაკლი ღარიბაშვილს ვიზიტზე უარი უთხრეს.




# დედაქალაქის საუკეთესო მერი და მეტი სიცოცხლის „ბიჭები“ თბილისის ყველა უბანში

**რამდენიმე წლის წინათ პარტია „ქართული ოცნებაა — დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა, თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ დედაქალაქის საკრებულოში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა.**

**კახა კალაძემ მაჟორიტარი დეპუტატობის ათივე კანდიდატს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.**

**„დღეს ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი დღეა, რადგან პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ საზოგადოებას წარუდგენს დედაქალაქის ათი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს — ადამიანებს, რომლებსაც თბილისელების მხარდაჭერის შემთხვევაში, ქალაქისა და აქ მცხოვრები თითოეული ადამიანის წინაშე, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, საპასუხისმგებლო მისია ექნებათ შესასრულებელი“.**

მინდა, პირველ რიგში, წარმოგიდგინოთ ჩვენი გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, დედაქალაქის საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე,** რომელიც ჩვენი გუნდის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება ვაკეში. გიორგის ზურგს უმაგრებს თბილისის საკრებულოში საქმინობის 14-წლიანი გამოცდილება და ნამდვილად არ მეგულება ადამიანი, რომელიც ამ ინსტიტუტის მუშაობის სპეციფიკაში უკეთ ერკვევა.

მან ზუსტად იცის, რა გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი დედაქალაქი, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ თბილისის მოსახლეობამ კიდევ უფრო მეტი სიკეთე მიიღოს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არა საკრებულოს მხარდაჭერა და პირადად მისი დიდი დამსახურება, დღეს ვერ ვიამაყებდით იმ შედეგებით, რომელსაც განვლილ ოთხ წელიწადში მივაღწიეთ. ეჭვი არ მეპარება, რომ გიორგი არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს და კიდევ უფრო დიდი შემართებით განაგრძობს საკუთარი ქალაქის მსახურებას;

მთაწმინდაზე ჩვენს გუნდს წარმოადგენს **ზურაბ აბაშიძე**. მას ზურგს უდიდესი პოლიტიკური გამოცდილება უმაგრებს. ის არის დედაქალაქის საკრებულოსა და პარლამენტის ყოფილი წევრი. დღემდე, ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მუშაობდა. რაც მთავარია, ზუსტად იცის საკუთარი რაიონისა და დედაქალაქის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. დარწმუნებული ვარ, საკრებულოში, ჩვენი გუნდისთვის ის უდიდესი შენაძენი იქნება და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელიც ჩვენი ქალაქის წინაშე დგას;

სამგორში „ქართული ოცნების“ კანდიდატი კვლავ იქნება ჩვენი გუნდის გამოცდილი წევრი, მოქმედი დეპუტატი **რევაზ სოხაძე,** რომელიც გასული ოთხი წლის განმავლობაში, აქტიურად იყო ჩართული საკრებულოს საქმიანობაში და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მთლიანად გაამწვანა და გააფერადა მისი სამაჟორიტარო ოლქი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის სამგორის რაიონში და მთლიანად თბილისში განხორციელებულ ძალიან ბევრ პროექტში, რომლითაც ყველა ვამაყობთ. მინდა, წარმატებები ვუსურვო რევაზ სოხაძეს და დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ;

ისანში ჩვენი გუნდის წარმომადგენელი, მოქმედი გამგებელი **კახა ლაბუჩიძე** იქნება, რომელსაც საჯარო სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა სტრუქტურაში მუშაობის, ასევე, პოლიტიკური საქმიანობის უდიდესი გამოცდილება აქვს. 2017 წლიდან დღემდე შეუიარაღებელი თვალითაც მარტივად ჩანს, რომ კონკრეტულად ისანში, უამრავი საქმე გაკეთდა, რაშიც უდიდესი წვლილი სწორედ კახა ლაბუჩიძეს მიუძღვის, რომელიც დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გაიმარჯვებს და გაათმაგებული ენერგიით, ამჯერად, უკვე საკრებულოდან განაგრძობს საკუთარი რაიონისა და დედაქალაქის სამსახურს;

კრწანისში ჩვენი გუნდის დეპუტატობის კანდიდატი მოქმედი მაჟორიტარი **ლევან ჯაფარიძე** იქნება, რომელიც საკუთარ მოვალეობას გასული წლიდან ასრულებს. მანამდე ის იყო კრწანისის რაიონის გამგებელი. ამ ადამიანმა უშუალოდ იცის საკუთარ რაიონში მცხოვრები მოქალაქეების შეხედულებები სხვადასხვა საკითხზე და მათთან ერთად ცდილობს, კიდევ უფრო განავითაროს საკუთარი უბანი. ლევან ჯაფარიძეს ზურგს უმაგრებს საჯარო სამსახურსა და კერძო სექტორში საქმიანობის მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილება. დარწმუნებული ვარ, კრწანისელებისთვის სწორედ ლევან ჯაფარიძე იქნება საუკეთესო მაჟორიტარი;

ნაძალადევში ჩვენს გუნდს წარმოადგენს ამ შესანიშნავი რაიონის მოქმედი გამგებელი **ირაკლი ხელაძე,** რომელიც მართლაც გამორჩეული ახალგაზრდა კაცია. პირველივე დღიდან, რაც ირაკლი ნაძალადევის გამგებელი გახდა, უდიდესი ენერგიით დაიწყო საქმიანობა, მართლაც მნიშვნელოვანი სამუშაო განახორციელა და დამერწმუნეთ, დღეს მასზე უკეთ ვერავინ გეტყვით, რა უჭირთ და ულხინთ ნაძალადევის მცხოვრებლებს, რა გაკეთდა და სამომავლოდ რა არის გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი განვითარებისთვის. დარწმუნებული ვარ, ის აუცილებლად გაიმარჯვებს და ახლა უკვე საკრებულოდან, მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაციის პირობებში, საკუთარ ქალაქსა და რაიონზე ზრუნვას განაგრძობს;

მოგეხსენებათ, გლდანი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი, გამორჩეული რაიონია, სადაც უამრავი საქმე კეთდება, კიდევ უფრო მეტი კი სამომავლოდ გაკეთდება. ამ პირობებში, ნამდვილად არ არის მარტივი, აიღო ისეთი პასუხისმგებლობა, როგორიც დედაქალაქის საკრებულოში, აქ მცხოვრები ადამიანების წარმომადგენლის სტატუსს ახლავს თან. მინდა, წარმოგიდგინოთ **კონსტანტინე ზარნაძის** კანდიდატურა, თუმცა, მან სულ მცირე დროში, გლდანის გამგებლის მოადგილედ მუშაობის პერიოდში, დაამტკიცა, რომ ნამდვილად შეუძლია, ჩემი გლდანელების ღირსეული წარმომადგენელი იყოს. ის გლდანში დაბადებული და გაზრდილი ახალგაზრდაა, რომელიც საჯარო სამსახურში საქმიანობს და თავისი რაიონის მსახურების საკმაოდ კარგი გამოცდილება დაუგროვდა. კოტე ზარნაძე, გლდანელების მხარდაჭერით, აუცილებლად გაიმარჯვებს და გაათმაგებული ენერგიით განაგრძობს საქმიანობას დედაქალაქის საკრებულოში;

დიდუბეში ჩვენი კანდიდატი იქნება **გივი ჩხარტიშვილი** — ენერგიული, თანამედროვე ხედვების მქონე ახალგაზრდა, რომელიც ჩვენი გუნდის, „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაცის გამორჩეული წევრია. მან საკუთარი შესაძლებლობები, საქმის კეთების უნარი, საკუთარი ქვეყნისა და ქალაქის სიყვარული ჩვენს გუნდში საქმიანობით უკვე დაამტკიცა. დარწმუნებული ვარ, ახლა უკვე სხვა ამპლუაში, კიდევ უფრო დიდი მოტივაციითა და ენერგიით განაგრძობს ჩემი თბილისელების, დიდუბისა და ქალაქის საკეთილდღეოდ საქმიანობას;

საბურთალოზე მაჟორიტარობის კანდიდატად მსურს **ავთანდილ ცინცაძე** წარმოგიდგინოთ. ის თბილისის საკრებულოს მოქმედი მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეა, თუმცა, ახლა მოუწევს იმ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, რომელსაც მთელი საბურთალოს მოსახლეობის კეთილდღეობასა და პრობლემების აღმოფხვრაზე ზრუნვა ჰქვია. ავთანდილ ცინცაძე მსოფლიო ჩემპიონია სამბოში, გასული ოთხი წლის განმავლობაში კი დაამტკიცა, რომ აქვს საქმის ხარისხიანად კეთების უნარი. მან ნამდვილად დაამტკიცა, რომ შეუძლია, იყოს წარმატებული ყველა იმ საქმეში, რომელსაც ხელს მოჰკიდებს. სწორედ ამიტომ, ეჭვი არ მეპარება, ავთოს მიერ საკუთარი რაიონის კიდევ უფრო განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილით, ოთხი წლის შემდეგ, თითოეული საბურთალოელი იამაყებს;

ჩუღურეთის რაიონში ჩვენი გუნდის მაჟორიტარობის კანდიდატი ამ ულამაზესი რაიონის მოქმედი გამგებელი **ზურაბ ჩიკვილაძე** იქნება. დამერწმუნეთ, და ამაში ჩუღურეთში მცხოვრები ადამიანებიც დამეთანხმებიან, რომ ზურაბ ჩიკვილაძე უდიდესი პროფესიონალი, საკუთარ საქმეზე და უბანზე შეყვარებული, სამაგალითო მოხელეა. მას ყოველთვის გულთან ახლოს მიაქვს ჩვენი მოქალაქეების პრობლემები, ძალას არ იშურებს საკუთარი რაიონისა და ქალაქის საკეთილდღეოდ;

ჩვენ სწორედ ამ კვალიფიციური, ენერგიული, დიდი გამოცდილების მქონე და ახალგაზრდა, განათლებული ადამიანებით დაკომპლექტებული გუნდით, აუცილებლად გავიმარჯვებთ და ერთად, ჩვენი მოქალაქეების ჩართულობით ვიზრუნებთ იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც მეტ სიცოცხლეს შესძენს თბილისის ყველა უბანს. გარწმუნებთ, თითოეული ჩვენგანი მთელი არსებითაა ჩართული იმ საქმეში, რასაც თბილისის უკეთესი ხვალინდელი დღე ჰქვია.

ჩვენ გვაქვს მკაფიო და ნათელი მიზანი — ქალაქის მასშტაბით, თითოეულ უბანში, თითოეულ ადამიანთან მივიდეს ყველა ის სიკეთე, რასაც ვქმნიდით, ვქმნით და მომავალშიც შევქმნით თბილისისა და თბილისელებისთვის. ამ შრომატევად საქმეში განსაკუთრებულ როლს სწორედ მაჟორიტარი დეპუტატები ასრულებენ და მათი ფუნქცია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კიდევ უფრო საპასუხისმგებლო იქნება.

დარწმუნებული ვარ, ჩემი თბილისელები მხარს დაუჭერენ ამ კეთილსინდისიერ, კვალიფიციურ და პროფესიონალ კანდიდატებს, სიკეთისა და კეთილდღეობის ელჩებს, რომლებიც ამ სიკეთეს თითოეული თბილისელის ოჯახამდე მიიტანენ. ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ და რაც მთავარია, გავიმარჯვებთ უკეთესი თბილისისთვის.

მეტი სიცოცხლე ყველა უბანში!“, — დასძინა კახა კალაძემ.

## საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად

**„შეიძლება** **ითქვას, უკვე ტრადიციად გვექცა მოქალაქეებისთვის წლობით დაუკანონებელი საკუთრების დაკანონება. დღეს კიდევ 40 ოჯახს დაუკანონდება და სიმბოლურ 1 ლარად გადაეცემა საცხოვრებელი ფართები. მათგან 20 ოჯახი ნაძალადევის რაიონში ცხოვრობს, 10 ოჯახი — გლდანის რაიონში, 3 ოჯახი — სამგორის რაიონში, 3 ოჯახი - დიდუბის რაიონში, 2 ოჯახი — კრწანისის რაიონში, ხოლო 2 ოჯახი — ვაკის რაიონში.**

**ვიზიარებ მათ სიხარულს და ვულოცავ ყველა მათგანს. დანარჩენებს კი მოვუწოდებ, მრავალი წლის განმავლობაში დაუკანონებელი საცხოვრებელი ფართის არსებობის შემთხვევაში მიმართონ თავიანთი რაიონის გამგეობას, რომელიც დაეხმარება ინფორმაციით და კონსულტაციით, იმისთვის, რომ განხილული და შესწავლილი იყოს მათი განაცხადი“, —** განაცხადა დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ.

## „თბილსერვის ჯგუფი“ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ღამის საათებში გაიტანს

თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ნარჩენების გატანის ახალი რეჟიმის დაწესებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ცენტრალურ უბნებში საპილოტე ფორმატით დაწყებული პროექტი უკვე მთელი თბილისის მასშტაბით განხორციელდება.

**„ალბათ ახსოვს საზოგადოებას, ჩვენ დავიწყეთ საპილოტე პროექტი, რომელიც ნარჩენების ღამის საათებში გატანას ითვალისწინებდა და საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს დღესაც. გვინდა, დავიწყოთ, ამ პროექტის თბილისის მასშტაბით განხორციელება. „თბილსერვის ჯგუფი“ მომზადებულია, ავტომობილები, ტექნიკა გადაწყობილია ამ ახალი სისტემისთვის. პროექტის ფარგლებში, „თბილსერვის ჯგუფის“ ნაგავმზიდი ავტომანქანები თბილისის მასშტაბით, საყოფაცხოვრებო ნარჩენს 22:00-დან 06:00 საათამდე გაიტანს, თუმცა არის ქუჩები, რომელიც საჭიროებს ნარჩენების დღის განმავლობაში გატანას. აქაც ისეთი დროა შერჩეული, რომ პიკის საათებს ავცდეთ და ის დისკომფორტი, რაც ამ დროს დედაქალაქში ხდება, მაქსიმალურად ავირიდოთ თავიდან. ასეთ ქუჩებში ნარჩენებს 10:30-დან 17:00 საათამდე პერიოდებში გაიტანენ“, —** განაცხადა კახა კალაძემ.

# გვამებზე მოყაშყაშე აფთრები და კულტურული კონტრ-რევოლუცია



## „ერთი ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა, მილიონის კი – სტატისტიკა“

**ამ საზიზღარ, მაგრამ რეალურ ფრაზას ქართველმა აგრესიულმა ლიბერალებმა, ნაც-იდეოლოგიისგან მოწამლულმა არამზადებმა პირველი ფრაზა შეუცვალეს და დაამკვიდრეს – ადამიანის სიკვდილი ქულების დაწერაა.**

დიახ, სწორედაც რომ ქულების დაწერა, რადგანაც მათი შინაგანი მდგომარეობა სწორედაც რომ „ორ გვამზე“ გადის, ნაწამებ სულხან მოლაშვილზე, ციხეებში თუ ქუჩაში ჩახოცილ ადამიანებზე დგას.

და რადგანაც საზოგადოებამ მათ მკაფიოდ უთხრა უარი და ასე ვთქვათ „წითელი აუნთო“, ახლა ისინი ქულების დაწერას გარდაცვლილ ადამიანებზე ცდილობენ. უფრო სწორად რომ ვთქვა, ქულებს კი არ იწერენ (იციან, რომ ვერანაირად ვერ მოახერხებენ), არამედ მოსახლეობაში დაძაბულობის გაღვივება სურთ.

ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიან სააკაშვილი და აგრესიული ლიბერალები თავიანთი საკრალური მიზნისკენ – საქართველოში ხისტი სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვიონ.

მიდიან და ასე ვთქვათ ფრონტის წინა ხაზზე იმ პატარა გოგო-ბიჭებს უშვებენ, რომლებსაც ჯერ ტვინები საზიზღარი იდეებით გამოუტენეს, წაართვეს სინდისი, რწმენა, სითბო, სიყვარული, ადამიანობა, შემდეგ ჟურნალისტები დაარქვეს და პირდაპირ ხალხში გასაღიზიანებლად, დაპირისპირების გამოსაწვევად გადაყარეს.

ძალიან ძნელია ამ ბავშვების ნორმალურ გარემოში დაბრუნება. ძალიან ძნელი, რადგანაც როცა ახალგაზრდა გოგონა გავეშებული ინტონაციით ამბობს – **მე ჩემს პროფესიულ მოვალეობას ვასრულებ!** მაშინ როცა წარმოდგენაც არა აქვს თუ რა არის ჟურნალისტიკა, როცა თავისი პროფესიის მეტრები სანაია და მელაძე ჰგონია, მელია და უგულავა კი – ერის მამები, ხოლო ბუღაძე და ლევანა ბერძენიშვილი – ინტელექტუალები, ფაქტობრივად შეუძლებელია.

ისინი დავალების შესასრულებლად არა როგორც ჟურნალისტები, არამედ როგორც მტრის ზურგში გადასროლილი სპეცრაზმელები მიდიან.

ირგვლივ ვერ ხედავენ ბავშვებს, მოხუცებს, ყვავილებს, სიცოცხლით სავსე შეყვარებულებს, ახალ შენობებს, ძველ ტაძრებს.

მათთვის ეს მტრული გარემოა და შესაბამისად ირგვლივაც მტრები დადიან.

– მე ჩემს პროფესიულ მოვალეობას ვასრულებ! მე ჟუუურრრნნაალისტი ვარ! ზიზღიანი ინტონაციით ახლიან ადამიანებს და ჰგონიათ რომ იმ წერილს, რომელიც გვარამიამ აშშ საელჩოს და ლომჯარიას გაუგზავნა, ზუსტად ისეთივე რეაქცია მოჰყვება, რაც შადიმან ბარათაშვილის მიერ შაჰისთვის გაგზავნილ უსტარს.

აზრი არა აქვს იმის დაწერას, რომ სხვა ქვეყნებშიც ხდება დანაშაული და ხდება ისეთ ფორმებშიც, რომელსაც „ბნელი“ და „ჩამორჩენილი“ ქართველი ვერც წარმოიდგენს.

დანაშაული კაენისა და აბელის დროიდან ხდებოდა, ხდება და მოხდება კიდეც.

ცხადია, ნებისმიერი დანაშაული საშინელებაა, მაგრამ უფრო მეტი საშინელება ისაა, რომ მომხდარი ტრაგედიის, მომხდარი უბედურების გამო, იმის ნაცვლად რომ გეტკინოს, იმის ნაცვლად რომ სამართალდამცავებს ხელი არ შეუშალო, იმის ნაცვლად რომ ამ საშინელებით შეშფოთებულ საზოგადებას მხარში დაუდგე, მშიერი აფთარივით ყაშყაშებ, კივიხარ და შენს ხალხს, მშობელს, მეზობელს, ნათესავს, ნაცნობს, ეზოში მოთამაშე ბავშვს, მოხუცს წყევლი და ლანძღავ. საბედნიეროდ, მათი დახვრეტის შესაძლებლობა არ გაქვს, თორემ თვალსაც არ დაახამხამებდი, ისე გახსნიდი ცეცხლს.

რაც არ უნდა გაიჭინთონ გვარამია, „ნანუკა“ და მათი ხროვა, ტურისტებიც ჩამოვლენ, ქვეყანაც განვითარდება და ყველგან სიცოცხლე და სიყვარული შევა.

თქვენ კი მუდამ თვითგვემაში, მაზოხიზმში და სიბნელეში იქნებით, ხოლო ვისაც არ მოგწონვართ და წასვლით „გვაშინებთ“, დიდი ნოდარ დუმბაძის ლიმონას სიტყვების მცირე ინტერპრეტაციით დაგემშვიდობებით – **წადით, თქვენზე გამომტირებლის დედაც ვატირე!**

## აქამდე კი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ქვეწარმავლის ცოცვით მივიდნენ

**მოსპეს კულტურა. მოსპეს განათლება და ლუზერები იყიდეს. მიუგდეს ორი გროში (30 ვერცხლი მათთვის ბევრია), დაარქვეს „მწერლები“, „მომღერლები“, „ცნობადი სახეები“ და იალაღზე მიუშვეს.**

აქ საკმაოდ დიდი როლი იმ ინფანტილიზმმაც ითამაშა, რაც დღეს ნამდვილ სახელოვნებო სივრცეშია.

არანაირი ბრძოლა მოძალადეებთან. შეგუება და მორჩილება.

ეს სიტუაცია ძალიან ჰგავს გასული საუკუნის 30-იან წლებს, სადაც ბოლშევიკებმა ახალი კულტურის შექმნა დაიწყეს, ხოლო ნამდვილი ხელოვანები საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტნენ.

როგორ არ შევადარო მამა-შვილი ბუღაძეები იმ „წითელ“ ხელოვანებს, რომლებიც მზად იყვნენ, მოეკლათ დედა და დაეხრჩოთ მამა, თუ პარტია ამას უბრძანებდა?

როგორ არ შევადარო დღევანდელი „ხელოვანები“, მიშას ინტელიგენტები, ანუ მათი ლექსიკით „ცნობადი სახეები“ იმ ხალხს, ვინც კრებებზე ტერენტი გრანელის და მანდელშტამის დასჯას ითხოვდა?

დღევანდელი ხელისუფლებაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მოქცეული იყო (და სავარაუდოდ ახლაც არის)



მოქცეული „მიშას სახეების“ გავლენის ქვეშ, და მონური მორჩილებით შესცქეროს „ეროვნულ ბოზებს“, რომლებიც საკმაოდ მსუყედ ჯეჯილობდნენ მათთვის გაშლილ იალაღზე.

თეა წულუკიანის მინისტრად დანიშვნამ, ასე ვთქვათ მათს „კარმუშკას“ დახურვის საფრთხე შეუქმნა და ისინიც აბუნტდნენ (ფხუკ!)

„მწერალი“ ტორესა მოსი – **უარს ვამბობ კულტურის სამინისტროს დაფინანსებულ ნებისმიერ პროექტში მონაწილეობაზე. უკვე ველაპარაკე ჩემს გამომცემელს და, შესაბამისად, „ორდროშობანა“ მოიხსნება ლიტერადან. წულუკიანს არ ვიკადრებ მე. სანამ ეგ ქალია კულტურის მინისტრი, სრულ ბოიკოტში ვიქნები მაგ უწყებასთან.**

აუჰ, დამხაშმა!

წესით ამ „აუჰ, დამხაშმას“ მეტი არაფრის დაწერა არ იყო საჭირო, მაგრამ კულტურა და განათლება საქართველოში კომპეტენციის ზღვარსაც რომ ვერ სცდება, ყველამ იცის.

ფრაზა „კომპეტენციის ზღვარი“ იმიტომ გამოვიყენე, რომ უფრო გასაგები იყოს იმ ხალხისთვის, ვინც ტორესა მოსის მსგავსთ „მწერლებს“ უწოდებენ, „ეროვნულ ბოზებს“ აფინანსებენ და ვიღაც ტიპებს, რომლებსაც საზოგადოება სხვადასხვა ეპატაჟებით, და არა ნაწარმოებებით იცნობს, ბიუჯეტის ხარჯზე ევროპის ქვეყნებში ქართული ლიტერატურის გამტანად აგზავნიან.

რატომღაც მგონია, რომ არც დოსტოევსკის და არც სემუელ კლემენსს რაიმე ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობა არასდროს მიუღიათ და კულტურის მინისტრის გადადგომის მოთხოვნის განცხადებების წერის ნაცვლად შედევრებს ქმნიდნენ.

პრინციპში ვისაც რა შეუძლია, იმას წერს.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ ინფორმაციაზე წესით უნდა „მეღადავა“, მაგრამ სამწუხაროდ ტრაგედიაა, ერის ტრაგედია და ამ თემაზე ღადაობა არ შეიძლება.

უბრალოდ ვიტყვი, რომ იმ რაღაც კონკურსს, რომელსაც „ლიტერა“ ჰქვია, აფინანსებს კულტურის სამინისტრო, ანუ ბიუჯეტი, ანუ თქვენ ვინც ახლა ამ წერილს კითხულობთ.

აფინანსებენ მოხუცები, ვისაც წამლის ფული არა აქვს და აფინანსებენ ბავშვები, ვინც ნაყინს ვერ ყიდულობს.

და ამ კონკურსში მონაწილეობენ (უარი განაცხადეს, მაგრამ წვდომა ჰქონდათ და უარი რაღაც პოლიტიკური ვნებების გამო თქვეს) თავხედი ტიპები.

დიახ სწორედაც რომ თავხედი ტიპები, რადგანაც აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მათი „ნაწარმოებები“ საქართველოს მოსახლეობის 99,999%-ს არამც თუ წაუკითხავს, მათი არსებობის შესახებაც არ სმენია.

პრობლემა არ არის, როცა მსგავს კონკურსებს კერძო კომპანია აფინანსებს.

ფული მფლობელისაა და მისი ნებაა ლაშა ბუღაძეს მისცემს, თუ ჰემინგუეის შთამომავალს.

კულტურა და განათლება!

განათლება და კულტურა!

აი, ეს არის უმთავრესი და იმ კიეველმა მაწანწალამ პირველ რიგში სწორედ ეს ორი მიმართულება მოკლა.

ამ თემაზე უზარმაზარი ტრაქტატის დაწერა შეიძლება, მაგრამ სანამ ეროვნული ბოზების პარპაში არ აღიკვეთება, დიახ – აღიკვეთება, მანამ ძალიან რთულ მდგომარეობაში ვიქნებით.

ვიქნებით, რადგანაც ფაქტობრივად კულტურული კონტრრევოლუციის პირას ვდგავართ.

არადა ნორმალურ ვითარებაში კულტურის სამინისტროს ლიტერატურაში, კინოხელოვნებაში, თეატრში, მუსიკაში, მხატვრობაში რაიმე კონკურსის ჩატარება არ უნდა სჭირდებოდეს.

წესით, კულტურის სამინისტროს მუშაკები თავად უნდა კითხულობდნენ ლექსებს, მოთხრობებს, ესწრებოდნენ სპექტაკლებს, გამოფენებს, ნახულობდნენ ფილმებს.

არ მითხრათ ახლა ძვირია და ვერ „ქაჩავენო“.

კარგი ლიტერატურული ნაწარმოებები ცხადია ბეჭდური სახით ვერ გამოიცემა, რადგანაც ნამდვილ მწერლებს ბეჭდვაზე წვდომა ძალიან უჭირთ, მაგრამ სოციალურ ქსელში მათი ნაღვაწი უხვადაა.

ასევე საკმარისი რაოდენობითაა წარმოდგენილი მხატვრობაც.

კინო.ძირითადად საზღვარგარეთ გადის სხვადასხვა ფესტივალებზე და შემდეგ... იკარგება.

ღვთის წყალობით სპექტაკლები არის.

ასევე არის ესტრადაც.

ჰოდა, იმ სამინისტროს მუშაკები (სპეციალურად არ გამოვიყენე სიტყვა „თანამშრომლები“) ოდნავ მაინც უნდა ერკვეოდნენ დღევანდელ ქართულ კულტურაში.

რა ვიცი აბა, როგორც ჩანს კედელზე დამაგრებული სერტიფიკატი უფრო წონადია, ვიდრე წიგნის წაკითხვა.

სამწუხაროდ დღევანელი კულტურისა და განათლების სამინისტროები სავსეა იმ ტიპებით, ვისაც ტორესა მოსი მწერალი ჰგონია, ვინც ლევანა ბერძენიშვილს ინტელექტუალიზმის უმაღლეს გამოვლინებად თვლის, ვისაც წიგნი კი არა, სადღაც მიღებული საკუთარი სერტიფიკატის ტექსტიც არა აქვს წაკითხული.



სწორედ ამიტომაა აუცილებელი კულტურული კონტრრევოლუცია, რომელიც პირველ რიგში გვამებზე მოყაშყაშე აფთრებს მოსპობს.

**გია გაბრიჭიძე**

## რობერტ სტურუა: ძალიან საყვარელი ქალია ჩვენი კულტურის მინისტრი



**ძალიან საყვარელი ქალია ჩვენი კულტურის მინისტრი, რაც საშინელ რეაქციას იწვევს ქართველებში,** – ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში რეჟისორმა რობერტ სტურუამ განაცხადა.

**„მე მგონია, რომ ძირითადად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები 9 წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტს იტაცებდნენ. რატომ არიან ახლა ასეთი გამწარებულები, რატომ იგინებიან უშვერი სიტყვებით? დახტიან, ცეკვავენ. მე მგონია, რომ უნიჭოები არიან. მინდოდა მეთქვა, მიფიქრია, რას ნიშნავს კულტურის მინისტრი. ახლა ძალიან საყვარელი ქალი გვყავს მინისტრად, რაც საშინელ რეაქციას იწვევს ქართველებში. მე ვფიქრობ, რომ კულტურის მინისტრმა უნდა დაუჭიროს მხარი ნიჭიერ ხალხს, უნიჭოებს კი ცოტა დაეხმაროს, რომ არ გაბოროტდნენ. ახლა ეს გაბოროტებული უნიჭო ხალხი გვაწვება ჩვენ“,** – აცხადებს სტურუა.

№ 166. ხუთშაბათი, 5 აგვისტო, 2021 წელი.



# სოსო ცინცაძე: ეჭვიც არ მეპარება, რომ კალაძე მოიგებს ამ არჩევნებს!

## „დემოკრატიის ერთადერთი ღირსება ის არის, რომ მმართველობის სხვა ფორმა მასზე უარესია“

**„იყო დრო, როდესაც ინგლისის პარლამენტში დეპუტატები ერთმანეთისგან მოშორებით ისხდნენ იმ მანძილზე, რომ დაშნით არ მისწვდენოდნენ ერთმანეთს. ინგლისმა გაიარა ეს პერიოდი, ალბათ, ჩვენც გავივლით და უკრაინაც, სადაც მაგიდაზე ავარდნა და ტრიბუნის ოკუპაცია მოდაშია“, — აცხადებს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.**

— — — — — — — — — —

**— ხელისუფლება ფიქრობს, რომ ოპოზიცია ვირტუალურ სამყაროში იმყოფება, ქმნის კაბინეტებს, იყოფენ არარსებული მინისტრების სავარძლებს და ვირტუალურ ხელისუფლებას აყალიბებენ. უფრო მეტიც, ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, უნდა დაიკავონ თუ არა „ნაციონალებმა“ ძალოვანი მინისტრების პოსტები. მართლაც აცდენილია ოპოზიცია დროსა და რეალობას, თუ ძალიან ჩქარობენ ჩრდილოვანი კაბინეტის შექმნას? ემჩნევა კი „ქართულ ოცნებას“, რომ მზად არის ხელისუფლების გადასაბარებლად?**

— „ქართული ოცნება“ არ აპირებს ხელისუფლების გადაბარებას და არც გადააბარებს, ამიტომაცაა დასავლეთიდან მითითებები...

რაც შეეხება ოპოზიციის მიერ ჩრდილოვანი კაბინეტის შექმნას, ეს სიახლე არ არის, 200 წლის წინ, უფრო სწორად მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ინგლისში ყოველთვის არსებობდა ჩრდილოვანი კაბინეტი. ნორმალურ დემოკრატიულ ქვეყნებში მმართველი პარტიები ათეული წლები არ არიან ხელისუფლებაში და ადრე თუ გვიან იცვლება მთავრობები, ამიტომ ყველამ იცის, ვინ იქნება მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი, მომავალი პრემიერი. ამიტომაც იყო, ჩერჩილი როდესაც ჩავიდა პოტსდამის მოლაპარაკებაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ოპოზიციის ლიდერიც გაიყოლა თან, კლიმენტ ეტლი, რადგან არჩევნები ახლოვდებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩერჩილი დარწმუნებული იყო საკუთარ გამარჯვებაში (თუმცა დამარცხდა), მაინც წაიყვანა ოპოზიციის ლიდერი, რომ ისიც საქმის კურსში ყოფილიყო. ეს არის ნორმალური პირობები... მაგრამ როდესაც ოპოზიცია არის მტერი, სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენელი, როცა ოპოზიცია უნდა გაქრეს და ოპოზიციის მომხრეებს მიკროფონი უნდა წაართვა, თანაც კულტურის მინისტრმა... კი, ჟურნალისტები ცოტა მომაბეზრებელი ხალხია, მაგრამ ეს ჟურნალისტის პროფესიაა. კიდევ კარგი, საქართველოში პაპარაცები არ არიან, თორემ რომ იყოს, ჩვენი პარლამენტი ამაზე კანონს მიიღებდა და ყველას დასჯიდა. ვინმემ მოიკითხა, პრინცესა დაიანა რომ გარდაიცვალა პაპარაცების გამო, გარბოდნენ, მისდევდნენ და ავარია მოუვიდა, რატომ მოხდა ასე? ვინმემ დასაჯა პაპარაცები? ან აკრძალეს და სანქციები დაუწესეს მათ? ასეთი რამ არ მომხდარა, რადგან ესაა მათი საქმიანობა.

**— ჟურნალისტების პროფესია გასაგებია, მაგრამ, თავის მხრივ, რამდენად ჯდება ეთიკურ ნორმებში, რასაც ეს ოპოზიცია აკეთებს ამჯერად ქალი დეპუტატების დახმარებით — მაგიდაზე ახტომა, ტრიბუნასთან მივარდნა. ამ დეპუტატების საქციელი ხომ შოუს დადგმისთვის, ყურადღების მისაპყრობადაა გამიზნული?**

— ეს დემოკრატიის თანმხლები გართულებებია, მაგიდაზე ავარდნა, ტრიბუნის „ოკუპაცია“ ყველგან ხდება. ასეთი რამ ძალიან მოდაშია უკრაინის რადაში. იაპონია თავაზიანობის ეტალონი ქვეყანაა, ცხრაჯერ თავს გიხრიან, ათჯერ ბოდიშს გიხდიან, გამარჯობას რომ გეუბნებიან, მაშინაც ლამის გებოდიშებიან. ამ დროს მთელი მსოფლიო მოიარა სცენებმა, იაპონიის პარლამენტში სკამები როგორ დაამტვრიეს ერთმანეთს თავზე დეპუტატებმა. კიდევ კარგი, ჩვენთან მძიმე სავარძლებია და ვერ ასწევენ ხელში.

**— ასეთი უხამსობები ხომ არ ამყარებს ეჭვს, რომ „ნაცები“, რომლებმაც ქუჩის აქციებით ვერაფერს მიაღწიეს, ხალხი არ აჰყვა მათ, სწორედ იმისთვის შევიდნენ პარლამენტში, რომ დებოშის არეალი პარლამენტში გადაიტანონ?**

— გამორიცხული არც ეს არის. ეს რომ ხდებოდეს მარტო აფრიკის ქვეყნებში, სადაც პარლამენტი გუშინ შეიქმნა, მაშინ გასაკვირი არ იქნებოდა, მაგრამ ეს ხდება ცივილიზებულ ქვეყნებში, იტალიაში, იაპონიაში. იყო დრო, როდესაც ინგლისის პარლამენტში დეპუტატები ერთმანეთისგან მოშორებით ისხდნენ იმ მანძილზე, რომ დაშნით არ მისწვდენოდნენ ერთმანეთს. მათ გაიარეს ეს პერიოდი, ალბათ, ჩვენც გავივლით და უკრაინაც. დემოკრატია სულაც არ არის იდეალი. ჩერჩილის უკვდავი გამოთქმა მუდამ იარსებებს, რომ „დემოკრატიის ერთადერთი ღირსება ის არის, რომ სხვა მასზე უარესია“.

**— სხვათა შორის, საზოგადოების თვალში ქალის მაგიდაზე შეხტომა და ტრიბუნასთან მივარდნა მოსაწონი საქციელი არ არის, რატომ თამაშობენ ჩვენი ქალი დეპუტატები წამგებიან თამაშს ისევე, როგორც წამგებიან გადაწყვეტილებად მოიაზრება ნიკა მელიას მხრიდან თბილისის მერობისთვის ბრძოლა, სადაც მას ვერცხლის ან ბრინჯაოს მედალს უწინასწარმეტყველებენ?**

— ჩემი აზრით, ეს სერიოზული პოლიტიკური შეცდომაა, რომ მელია კენჭს იყრის დედაქალაქის მერობაზე. ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის ლიდერის სამიზნე უნდა იყოს პრემიერობა. ხომ ხედავთ, გახარიას არ სურს კენჭი იყაროს მერობაზე, თუმცა შეიძლება მელიაზე ნაკლები შანსები არ ჰქონდეს. კაცი პრემიერი იყო და, ცხადია, მერობა არ სურს.

**— მაგრამ მელიას ინტელექტი მერობისთვის საკმარისია?**

— მე თუ მკითხავთ, მერი უნდა იყოს მეურნე. მან უნდა იცოდეს, გზა სად გაიყვანოს, ხიდი სად ააშენოს, ზომიერად ხელმომჭირნე უნდა იყოს. ამიტომ გააჩნია, რომელი ეპოქის მერია. პოსტსაბჭოური საქართველოს მერს დიდი ინტელექტი არც მოეთხოვება. მთავარია, რუსები რომ ამბობენ, „კრეპკი ხაზიაისტვენნიკ“. ეჭვი არ მეპარება, კალაძე მოიგებს ამ არჩევნებს, რადგან მმართველი გუნდი ამ მხრივ კარგად ორგანიზებულია. ოპოზიციაში კი ორგანიზება არც დაუწყიათ. ვერ ერთიანდებიან, ყველა ტალეირანი და ბისმარკია. „გირჩი“ ყოველ გამოსვლაზე ახალ-ახალ რეკორდს ხსნის. ახლა ამბობენ, არავითარ შემთხვევაში გაერთიანება არ გვინდა, ცალ-ცალკე ვცადოთ ბედი მერის არჩევნებზეო. 30 წელია, არ ჰყავთ საერთო კანდიდატი, კიდევ ამ ცოცხს აბიჯებენ ფეხს. ამ დროს მმართველმა პარტიამ დროულად იცის, ვინ უნდა გახდეს მერი. გარდა ამისა, კალაძე პოპულარულია. მაგალითად, რუსი ოპოზიციონერი ჟურნალისტი იური როქსი „ნეზავისიმაია გაზეტაში“ წერს, წარსულში მშვენიერი ფეხბურთელი იყო და პოსტსაბჭოური ქალაქის ყველაზე კარგი მერი გამოდგა კალაძეო...

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**



## აშშ სარძოლო რაკეტებით გვეხმარება

**აშშ-ის თავდაცვითი უსაფრთხოების თანამშრომლობის სააგენტომ (DSCA) საქართველოსთვის 30 მილიონი დოლარის ღირებულების „ჯაველინის“ რაკეტებისა და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობის შესაძლო გაყიდვა დაამტკიცა.**

აშშ-ის თავდაცვითი უსაფრთხოების თანამშრომლობის სააგენტომ აღნიშნული შესაძლო გაყიდვის შესახებ კონგრესს გუშინ აცნობა.

საქართველოს მთავრობამ მოითხოვა „ჯაველინის“ ტანკსაწინააღმდეგო მართვადი 82 რაკეტისა და 46 მართვადი გამშვები დანადგარის შესყიდვა.

**„აღნიშნული შემოთავაზებული გაყიდვა საქართველოს უსაფრთხოების გაუმჯობესების გზით გააძლიერებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკასა და ეროვნულ უსაფრთხოებას. საქართველო სტრატეგიული პარტნიორია და რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. „ჯაველინის“ სისტემა დაეხმარება საქართველოს გააძლიეროს თავისი თავდაცვისუნარიანობა და დაიცვას თავისი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. საქართველო ადვილად შეძლებს აღნიშნული სისტემის შეთავსებას საკუთარ შეიარაღებულ ძალებთან. აღნიშნული აღჭურვილობის შემოთავაზებული გაყიდვა და მხარდაჭერა არ შეცვლის რეგიონში ძირითად სამხედრო ბალანსს“,** — ნათქვამია განცხადებაში.

## საქართველოსა და უკრაინის ერთობლივი წვრთნები ზღვასა და ხმელეთზე

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა უკრაინელ კოლეგებთან ერთად შავ ზღვაში ერთობლივი წვრთნები ჩაატარეს. სწავლებაში საქართველოს სანაპირო დაცვის აილენდის კლასის ხომალდი „ოჩამჩირე“ (P23) და ხომალდი „სოხუმი“ (P24) მონაწილეობდა. უკრაინის მხრიდან, წვრთნებში შეიარაღებული ძალების სამხედრო-საზღვაო ძალების კუთვნილი საპატრულო კატარღა „სლავიანსკი“ (P190) ჩაერთო.**

წვრთნების მიმდინარეობისას საქართველოსა და უკრაინის საზღვაო დანაყოფებმა დაგეგმეს და განახორციელეს სხვადასხვა სასწავლო ელემენტი: ერთობლივი საზღვაო მანევრები, საწვავის გადაცემის იმიტირება გემიდან გემზე, „ადამიანი ბორტს მიღმა“, ხომალდის ბუქსირება.

ერთობლივი წვრთნები ნატოს სტანდარტებისა და პროცედურების სრული დაცვით ჩატარდა.





* * *

**Agile Spirit 2021-ის ფარგლებში ქართულ-უკრაინული ერთობლივი საველე სწავლება გაიმართა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ასეულის დონის სამხედრო წვრთნები ახალციხეში, ორფოლოს პოლიგონზე ჩატარდა.**

საქართველოს თავდაცვის ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ბატალიონისა და უკრაინის საზღვაო ქვეითების ცალკეული ბატალიონის სადესანტო მოიერიშე ქვედანაყოფის სამხედრო მოსამსახურეებმა კონტრშეტევითი ოპერაცია განახორციელეს. იმიტირებული სცენარის მიხედვით ქართველი და უკრაინელი სამხედროების ამოცანა მოწინააღმდეგეზე კონტრშეტევა და განეიტრალება, სამედიცინო ევაკუაცია, ასევე უკან გამოსვლა და თავმოყრის რაიონის დაკავება იყო.

სწავლებაში საინჟინრო, საარტილერიო, სატანკო და შეჯავშნილი ქვეითთა საბრძოლო მანქანების კომპონენტები იყო ჩართული, მათ შორის სსსტც „დელტას“ მიერ წარმოებული ქართული ჯავშანტექნიკა — „დიდგორი მეომარი“ და „დიდგორი მედევაკი“.

ერთობლივი წვრთნების მიზანი, ქვედანაყოფებს შორის ტაქტიკურ დონეზე ურთიერთთავსებადობის ამაღლება, მრავალეროვნულ გარემოში ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების დროს ოპერატიული შესაძლებლობების დახვეწა და გაძლიერება იყო. Agile Spirit 2021 აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს. მრავალეროვნულ სწავლებაში ნატოს წევრი და პარტნიორი 15 ქვეყანაა ჩართული. სწავლების სამეთაურო-საშტაბო ნაწილი უკვე დასრულდა, საველე წვრთნები კი, 6 აგვისტოს ორფოლოს პოლიგონზე საჩვენებელი წვრთნებით დაიხურება.

# რა აკავშირებთ მიქელ-გაბრიელის ცელს და რევოლუციონერი კამოს მენიუს?!

**მაინც** რატომ ჩქარობენ, ასეთი დაჟინებით რატომ მოითხოვენ იძულებით ვაქცინაციას ყველა ხელისუფლებისგან ამ, პოტენციურად ერთობ საშიში ვაქცინებით? დაშინებასთან ერთად, რატომ ცდილობენ ხალხის წახალისებას მატერიალურად, სხვადასხვა შეღავათებით (ამერიკაში უფასო ლუდთან ერთად მარიხუანასაც(!) კი სთავაზობენ, ბავშვებს კი – კანფეტებს; კანადაში 12 წლის ბავშვების აცრაც ნებადართულია მშობლების უკითხავად!). იმიტომ, რომ ძალიან მაღალია კოვიდსიკვდილიანობა? მაგრამ, ჰოი, საკვირველება, უმეტესი სახელმწიფოების სტატისტიკური სამსახურების მონაცემებით, მიუხედავად საშინელი პანდემიისა, საერთო სიკვდილიანობა, თურმე, არც კი გაზრდილა! **ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტმა** 2020 წლის ნოემბრის ბოლოს გამოაქვეყნა ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც წერია: **„კოვიდით გამოწვეული სიკვდილიანობა არ არის საგანგაშო, ფაქტობრივად, იგი გავლენას არ ახდენს საერთო სიკვდილიანობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში“!** მორჩა და გათავდა, წერტილი.

სწორედ ეს არის ყველაზე სანდო მაჩვენებელი კოვიდვირუსის ვი-




რულენტობისა და არა – დადებით **PCR (პი-სი-არ)** ან **ანტიგენის სწრაფ ტესტებზე** დაყრდნობით დაანგარიშებული სიკვდილიანობა. ერთი ტესტიც და მეორეც კარგა მაგრად სახელგატეხილია, რადგანაც დადებით პასუხს იძლეოდნენ ცხოველის, ფრინველის, მცენარის, ხის ნაყოფის თუ ზეთის სინჯებზე! **ავსტრიის პარლამენტში(!) ანტიგენის სწრაფი ტესტი გაკეთდა დემონსტრაციულად და კოვიდ-19 კოკა-კოლასაც(!) აღმოაჩნდა**. ამის შემდეგ მიდი და ენდე ასეთ ტესტებს!

ადრეც განგვიმარტავს, მაგრამ ახლა, როცა ჩვენთან დღეში 20 და 30 ათასი (!) ტესტი კეთდება (ბევრად მეტი, ვიდრე ამერიკა-რუსეთში და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში!), უნდა გავიმეორო: **თავად სახელწოდება – PCR-ტესტი, ანუ პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია, მეცნიერულად უაზრობაა, რადგანაც იგი არის არა ტესტი, არამედ გენური მასალის ისეთნაირად გამრავლების (გაბევრების, კოპირების!) მექანიზმი (სურვილის შემთხვევაში – ტრილიონებამდე!), რომ იდეაში, დადებითი პასუხის მიღება შემთხვევების 100%-შია შესაძლებელი!** თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ არამარტო ვაქცინები, ტესტებიც დაბინძურებული ყოფილა ნანოტექნიკური ჰიდროგელით და ლითიუმით, მაშინ უკვე რაღა გასაკვირვია, აბსოლუტურად ჯანმრთელ ადამიანებსაც რომ „უდასტურდებოდათ“ კოვიდინფექცია მხოლოდ დადებითი ტესტების საფუძველზე! სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის, ტესტების უვარგისობა რომ დაემალათ, მოიფიქრეს აბსურდული ტერმინი, ანუ ოქსიმორონი – **„უსიმპტომო ავადმყოფი“!** მაგრამ, არა მხოლოდ ამიტომ – მთავარი მიზანი იყო ტოტალური შიშის დათესვა მთელ მოსახლეობაში – ყველას ერთმანეთის – ნაცნობ-უცნობის, ერთმანეთთან მიახლოების შიში უნდა გვქონოდა, ყოველ ჯანსაღ ადამიანში პოტენციური საშიშროება – დაავადების გამავრცელებელი „უსიმპტომო ავადმყოფი“ უნდა დაგვენახა და, თუ პირბადეც არ ეკეთა ვინმეს, ასეთი, „დაავადების შეგნებულად გამავრცელებელი“ ზიზღთან ერთად ფიზიკურ შეურაცხყოფას და საზოგადო ტრანსპორტიდან ჩაგდებასაც „იმსახურებდა“. ამერიკის ერთ-ერთი ავიაკომპანიის მგზავრებმა ისიც კი იკადრეს, რომ დედა-შვილი თვითმფრინავიდან ჩამოსვეს მხოლოდ იმის გამო, რომ დედამ თავის ორი(!) წლის ბავშვს პირბადე არ გაუკეთა (თავად მას, რა თქმა უნდა, ეკეთა)! აი, ეს იცის დიდმა შიშმა და, აქ უნდა გავიხსენო სამხედრო დამნაშავის, ნაცისტურ გერმანიაში გავლენის მხრივ მეორე პირის – **ჰერმან გერინგის** მიერ ნიურნბერგის პროცესზე მისთვის დასმულ ერთ-ერთ კითხვაზე გაცემული პასუხი: **„იმისათვის, რათა ადამიანები მონებად აქციო, ერთადერთი, რაც ხელისუფლებას სჭირდება, – ეს შიშის დათესვაა... და, თუ თქვენ ისეთ რამეს მოიფიქრებთ, რაც მათ დააშინებს, თქვენ შეძლებთ აიძულოთ ისინი გააკეთონ ყველაფერი, რასაც კი მოისურვებთ“!** როგორც ვხედავთ, დღეს, ნიურნბერგის პროცესიდან 75 წლის შემდეგ, გლობალისტები ზოგადად თუ მსოფლიო მთავრობად წოდებული ძალა წარმატებით იყენებს გერინგისგან ნასწავლ მეთოდს და, პირაკრული, უსიტყვოდ დამყოლი ხალხის შემყურე ვფიქრობ, რომ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა უკვე გვაქციეს მონებად!

**ერთი მნიშვნელოვანი კითხვა გვრჩება პასუხგაუცემელი. როცა ყველანი მოწმე ვართ კოვიდ-19 შემთხვევების მკვეთრი მატებისა პერიოდულად, როგორ ავხსნათ ასეთი შეუსაბამობა – კოვიდსიკვდილიანობის აშკარა მატების ფონზე რატომ არ შეიცვალა საერთო სიკვდილიანობის მაჩვენებელი წინა, უკოვიდო წლებთან შედარებით? ახსნა მარტივია: იმავე ჰოპკინსის უნივერსიტეტის მონაცემებით გრიპის და სხვა სეზონური ვირუსული რესპირატორული დაავადებების შემთხვევებმა 2020 წლის სეზონზე წარმოუდგენლად – 99.75 % (!)-ით იკლო წინა, 2019 წელთან შედარებით (საშუალო თვიური მაჩვენებელი იყო 4 800 და გახდა მხოლოდ 12 !). განა ასეთი რამ შესაძლებელია, როდისმე მომხდარა? რა თქმა უნდა, არასოდეს! სეზონური დაავადებები, რომლებიც ყოველწლიურად მეტ-ნაკლები სტაბილურობით გამოირჩევიან, ასე, უცებ, ერთ სეზონზე არ ქრებიან! ასეთი რამ მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი, – როცა შეგნებულად, ზემდგომი ინსტანციიდან მიღებული დირექტივების შესაბამისად, არასწორი დიაგნოზი, ჩვენ შემთხვევაში, კოვიდ-19-ის დიაგნოზი ისმება! საქმე იმაშია, რომ კოვიდის მსგავსი თუ არამსგავსი ყველა(!) დაავადება, მხოლოდ პი-სი-არ ან რაპიდ–ტესტების დადებითი პასუხის საფუძველზე ავტომატურად კოვიდ-19-თა რიცხვს მიეწერება! აქსიომაა, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვლება!**

თითქოს, ყველაფერი ნათელია, მაგრამ მოსახლეობაზე განხორციელებულ უპრეცედენტო ძალადობას: მიქელ-გაბრიელით სისტემატურად დაშინებას, მკაცრ შეზღუდვებს, კარანტინებს, ლოკდაუნებსა და კომენდანტის საათების დაწესებას, სამწუხაროდ, თავისი შედეგი მოაქვს, სასოწარკვეთილი **ხალხი ნელ-ნელა ნებდება, ემორჩილება მსოფლიოსთვის თავსმოხვეულ პოლიტიკას, ემორჩილება იმ ძალას, რომელსაც „საფულის ჩვენი საშინელი ძალა!“, – უწოდა თანამედროვე სიონიზმის მამამ თეოდორე ჰერცლმა**. სწორედ ამ ძალით ხერხდება ყველას და ყველაფრის ყიდვა: მეფეების, პრემიერ-პრეზიდენტების და პარლამენტების, დიქტატორების და დემოკრატების, პროკურორების და მოსამართლეების, მორწმუნეების და ურწმუნოების, სამხედროების და პაციფისტების, ფილოსოფოსების და ხელოვანების, მრეწველების და ფერმერების, მიწა-წყლის, სინდის-ნამუსის, სულის და ხორცის, მთელი სახელმწიფოების უსიტყვო მორჩილების! ამის მომსწრენი ვართ დღეს ყველანი, როცა მშვიდად ვაკვირდებით კოვიდთან დაკავშირებით მსოფლიოში შემოღებულ უდიდესი საფრთხის შემცველ და ზიანის მომტან ზომებს: ცხვირ-პირზე მჭიდროდ აკრული პირბადეებით დაწყებული და აბორტირებული ნაყოფის უჯრედებზე დამზადებული, გენებზე ზემოქმედი კოქტეილებით მიმდინარე საყოველთაო ვაქცინაციით დამთავრებული.

ყველაფერ ამის შემხედვარე კაცი იძულებული ხდება, ირწმუნოს ამ ყოვლისშემძლე, აურაცხელი სიმდიდრის მქონე ადამიანებზე ნათქვამი ის სიტყვები, რომლებსაც ებრაული წარმოშობის გერმანელ მეწარმეს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს (1922 წლის თებერვალ-ივნისში) **ვალტერ რატენაუს მიაწერენ: „მათ(!) ისეთი ძალა აქვთ, რომ შეუძლიათ მსოფლიოს ერთ ნახევარს მძ – – – – ი აწარმოებინოს და იგი მეორე ნახევარს აჭამოს“!** (И. Ландовски. Красная симфония. 1968). ვინ იგულისხმება „მათ“-ში? ამის გასაგებად ძალიან მარტივი მეთოდი შემოგვთავაზა დიდმა ფრანგმა ფილოსოფოსმა **ვოლტერმა** ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში: **„ვისი კრიტიკაც გეკრძალებათ, ის ბატონობს თქვენზე“!** უკეთესად და უფრო ლაკონურად ვერ იტყვი!

რევოლუციონერ **კამოს** მენიუზე, დიდი ხანია გადაყვანილები ვყავართ (გადატანითი მნიშვნელობით, ცხადია), – ინფორმაციულ საკენკს თუ სალაფავს ვგულისხმობ, მაგრამ 2021 წლიდან „საფირმო კერძსაც“ უნდათ რომ შეგვაჩვიონ – ათასი შხამიანი შენაერთების, მძიმე მეტალების, კონსერვანტების, პესტიციდების, კიბოს და აბორტირებული უჯრედების, ვირუსების, ბაქტერიების და კიდევ რამდენიმე ათეული უცნობი ქიმიური ნივთიერების (რომელთა სახელებს მწარმოებლები არ ამხელენ) რაღაც ნაზავს, ვაქცინას რომ უწოდებენ და, რომელსაც თავიანთ შვილებს ახლოსაც არ აკარებენ, ძალით გვატენიან – გვიშხაპუნებენ, **როგორც საქონელს, როგორც ნახირს, ისე გვეპყრობიან!**

ტრილიონერი და მულტიმილიარდერი ოჯახებისგან შემდგარი მსოფლიო მთავრობის მთავარი მიზანი **„კოვიდ-19-ზე რეაგირების და სტრატეგიული მზადყოფნის პროგრამის“** შესრულებაა, რომელსაც მის დაქვემდებარებაში არსებული მსოფლიო ბანკი კურირებს. იგი 5-წლიანია და 2020 წლის 2 აპრილიდან 2025 წლის 31 მარტამდე პერიოდს მოიცავს! ამ პროგრამის დაწვრილებითი სამოქმედო გეგმა კი ასეთია: **იზოლაცია, ტესტირება, ვაქცინირება, ყველა სახელმწიფოში მოქალაქეებზე თვალთვალის დაწესება მათზე იძულებითი ზომების გამოყენების ჩათვლით!**

**ასე რომ, არ ინერვიულოთ, – არც კორონავირუსის ახალ-ახალი შტამები მოგვაკლდება და არც კოვიდპანდემიის ახალ-ახალი ტალღები, სანამ... მეცხრე(!) ტალღა არ გადაგვივლის!**

**ვისხდეთ ბაიყუშებივით და მორჩილად ვუყუროთ ჩვენს „ნათელ მომავალს“ – თუ როგორ აშკარად (!) ხორციელდება პრაქტიკაში ვალტერ რატენაუს 100 წლის წინანდელი ნათქვამი, როგორ გვაწარმოებინებენ და ჩვენივე ხელით როგორ მიგვართმევინებენ იმას... რაც მოეპრიანებათ!**



**იაკობ ლეჟავა,**
**ტელ: 593 55 04 00**

**დასასრული. დასაწყისი იხ. №159-160, 163-164**

## ვაქცინაცია სანახევროდ სავალდებულო ხდება

**16 აგვისტოდან შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქი ნიუ იორკში ახალი კოვიდრეგულაციები ამოქმედდება. ნიუ იორკის მერის ბილ დე ბლაზიოს განცხადებით, რესტორნების, ბარების, ხალხმრავალი ღონისძიებებისა და ფიტნესკლუბების ვიზიტორებს, შენობაში შესაღწევად, ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა დასჭირდებათ.**

ზემოაღნიშნული დაწესებულებები ვიზიტორებისგან ვაქცინაციის დოკუმენტის წარდგენას 16 აგვისტოდან მოითხოვენ. ქალაქის ხელისუფლება რეგულაციის აღსრულების პროცესის მონიტორინგს 13 სექტემბრიდან შეუდგება. „ნიუ-იორკი გახდება აშშ-ის პირველი ქალაქი, სადაც მოთხოვნილი იქნება ვაქცინაციის დამადასტურებელი მოწმობა. ასეთი ზომების შესაძლებლობას მოგვცემს, ვირუსს უფრო ეფექტურად ვებრძოლოთ“, – განაცხადა ბილ დე ბლაზიომ. მსგავსი მოთხოვნები დაინერგება სპორტული დარბაზებში, თეატრებსა და კინოთეატრებში, გასართობ კომპლექსებში. კორონავირუსთან ბრძოლის დამატებით ზომების მიღების საჭიროება ვირუსის დელტა ვარიანტის გავრცელებამ განაპირობა. ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის თანახმად, ქვეყანაში აქტიური ვირუსული ინფექციების 83% სწორედ დელტა ვარიანტზე მოდის.

## „აცრა არის ერთადერთი გამოსავალი, თავი დავიცვათ პანდემიისგან!“

კაცობრიობამ მედიცინის გზით არაერთი პანდემია დაამარცხა, აცხადებს აკადემიკოსი მზექალა შანიძე. მას მიმაჩნია, რომ აცრა არის ერთადერთი გამოსავალი, თავი დავიცვათ პანდემიისგან.

**„კოვიდი ჩვენთვის, როგორც მცირერიცხოვანი ერისათვის, ძალიან საშიშია. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს“,** – აცხადებს 95 წლის მზექალა შანიძე.

## სრულად აცრილი ადამიანი სხვას ვირუსს არ გადასცემს...

**სრულად აცრილ პირებს კორონავირუსზე ტესტის დადებითი პასუხის მიღების შანსი სამჯერ უფრო ნაკლები აქვთ, ვიდრე არავაქცინირებულ პირებს. აღნიშნულს ლონდონის იმპერიული კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს. კვლევის შედეგები ინგლისში 24 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით თითქმის 100 000 ადამიანის ნაცხის ტესტებს ეფუძნება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ადამიანების მხოლოდ 0.63% დაინფიცირდა, ანუ 158 ადამიანიდან ერთი.**

PCR-ტესტის შედეგების კვლევის ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ სრულად აცრილმა ადამიანებმა ვირუსი სხვებს გადასცენ, რადგან მათში ვირუსული დატვირთვა საშუალოდ მცირეა.



# გიორგი ავსაჯანიშვილი

დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორს, ღირსების ორდენის კავალერს, საბჭოთა კავშირის პრემიის ლაურეატს, არქიტექტურის რაინდს, ცნობილ გრაფიკოსს გიორგი ავსაჯანიშვილს.

დიდია გ. ავსაჯანიშვილის ღვაწლი საქართველოს აღმშენებლობის და ქართული არქიტექტურის განვითარებაში. იგი არის საქართველოს სახელმწიფო ორდენებისა და მედლების (თანაავტორებთან ერთად) და საქართველოს მოსამართლის მანტიის ავტორი. არაერთი წიგნის მხატვარ-ილუსტრატორი, მათ შორის „ბაგრატიონთა გვარის შესახებ“ და ისტორიული ტრილოგიისა „ნათელი ქრისტესი საქართველო“. მის მიერ გაფორმებულ ორ წიგნს მსოფლიო წიგნის გამოფენაზე მიენიჭა გრანპრი.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდი და არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს ბატონ გოგის ამ ღირშესანიშნავ თარიღს. უსურვებს ჯანმრთელობას და წარმატებებს როგორც პირად ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მთა-მთა, ხევ-ხევ საქართველო მოგივლია,
წინაპართა ნაკვალევზე ფეხი გიდგას,
ქართულ გენმა შთაგაგონა მოგექარგა
ქვა ჩუქურთმით, კალმით კიდევ დედა-ენა.

მოხევე კაცს სიდინჯე გაქვს მოხევური,
სიტყვა საქმით აწონილი მოხაზული,
სიკეთის და სიხარულის მომნიჭებელს
მოგილოცავთ იუბილეს მთელი გულით.

**ნოდარ მეძმარიაშვილი, მერაბ ნიკოლაიშვილი, ვაჟა ნადირაშვილი, დავით გურგენიძე, დავით დოლონაძე, ანზორ ჩოგოვაძე, როლანდ მიქაუტაძე, გიორგი სალუქვაძე, ომარბეი ძიაპშიპა.**

კვალი ნათელი კაცისა

# საუკუნოვანი გაზეთის ღირსეული რედაქტორი

**საქართველოში გამომავალი აზერბაიჯანულენოვანი „გურჯუსტანი“ საიუბილეო თარიღს ზეიმობს — იგი 100 წლისა გახდა. საიუბილეო დღეებში საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის, აზერბაიჯანელ ჟურნალისტთა ასოციაციისა და გაზეთ „გურჯუსტანის“ თანადგომით, საქართველოს ქალთა საბჭოსა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის — „საზოგადოებრივი გამოცდილების“ ორგანიზატორობით გაიხსენეს გაზეთის ყოფილი რედაქტორი, პროფესიონალი ჟურნალისტი, ცნობილი მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე სულეიმან სულეიმანოვი.**



სულეიმან სულეიმანოვი

ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციის გამო საღამო ონლაინ-რეჟიმში წარიმართა, რაშიც დიდია ბატონი სულეიმანის შვილების — ქალთა საბჭოს ქართველ-აზერბაიჯანელ ქალთა კომიტეტის ხელმძღვანელის ლეილა სულეიმანოვასა და ვაჟის, საინფორმაციო სააგენტო Report.ge-ს ხელმძღვანელის მემედ სულეიმანოვის წვლილი.

სულეიმან სულეიმანოვი 1935 წლის 5 მაისს დაიბადა მარნეულის რაიონში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აზერბაიჯანული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის განხრით. მუშაობდა პარტიულ თანამდებობებზე — მარნეულის კომკავშირის კომიტეტის მდივნად და ცკ რაიკომის მდივნად. გახლდათ საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა შორის ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, სახალხო დამცველთან არსებული საბჭოს წევრი, 1992 წლიდან ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთობა“, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი იყო გარდაცვალებამდე, 2014 წლამდე. გახლდათ უმაღლესი საბჭოს ორგზის დეპუტატი, თარჯიმანი, 42 წლის მანძილზე გაზეთ „გურჯუსტანის“ მთავარი რედაქტორი. საქართველოში ტოლერანტობის, კულტურის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის მრავალჯერ იყო დაჯილდოებული სამთავრობო ჯილდოებით, მედლებითა და სიგელებით. გახლდათ ღირსების ორდენოსანი.

ონლაინ-კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს, ღირსეული პიროვნება მოიგონეს და ქვეყნის წინაშე გაწეული წვლილი გაიხსენეს ქართველი და აზერბაიჯანული საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, კოლეგებმა და ოჯახის წევრებმა. მის დამსახურებაზე საინტერესოდ ისაუბრეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მრჩეველმა, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლებმა, მირზა ფათალი ახუნდოვას სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის თანამშრომლებმა, მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის თემების წარმომადგენლებმა.

საუკუნოვანი გაზეთის რედაქტორი და ღირსეული პიროვნება გაიხსენეს მისმა კოლეგა ჟურნალისტებმა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ, ცნობილმა მთარგმნელმა და პუბლიცისტმა გურამ გოგიაშვილმა და სომხურენოვანი გაზეთის „ვრასტანის“ რედაქტორმა ვან ბაიბურთმა.

კონფერენციაზე გამოითქვა აზრი, გამოიცეს ბატონ სულეიმან სულეიმანოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნი, ქალაქ მარნეულის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

კონფერენცია ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე მიმდინარეობდა, მონაწილეებს თარჯიმნობას უწევდა მემედ სულეიმანოვი.

**საქართველოს ქალთა საბჭო**




ონლაინ-კონფერენციის მსვლელობისას

# სად დავანდება საქართველოს ეროვნული განძი?

**შალვა ამირანაშვილის მუზეუმთან დაკავშირებით კულტურის მინისტრმა განცხადება გააკეთა. თეა წულუკიანი ამბობს, რომ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ძეგლიდან, ექსპონატები დროებით დაცულ ადგილას უნდა გაიტანონ და სახელმწიფოს პოზიცია იქნება ურყევი — მუზეუმს კი რეაბილიტაცია ჩაუტარდება.**

სამინისტროს ცნობით, წულუკიანსა და საქართველოს საპატრიარქოს სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილების ხელმძღვანელს — მეუფე ვახტანგს (ლიპარტელიანი) შორის შედგა შეხვედრა.

**„მხარეებმა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ოქროს ფონდთან დაკავშირებული საკითხი განიხილეს. მეუფემ მინისტრს გააცნო საქართველოს საპატრიარქოს მიერ ბოლო 4 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შედეგები და ეკლესიის ხედვა განსახორციელებელ ნაბიჯებთან მიმართებაში. მინისტრმა კი მიმოიხილა 1835 წელს აგებული ხელოვნების მუზეუმის ძირითადი შენობის (ე.წ. სემინარიის შენობა) მდგომარეობის შესაფასებლად 2021 წელს ჩატარებული სიღრმისეული ექსპერტიზის დასკვნა და სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის მაისში მოწვეული UNESCO-ს ექსპერტების კვლევის შედეგები ოქროს ფონდში დაცულ ხატებთან დაკავშირებით.**

**მინისტრის თქმით, ვინაიდან, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, შალვა ამირანაშვილის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ავარიული შენობა (ე.წ. სემინარიის შენობა) უნდა დაექვემდებაროს აღდგენას, რისთვისაც დაწყებულია პირველადი სამუშაოები, აუცილებელი ხდება, რომ მუზეუმის ექსპონატები, მათ შორის, ოქროს ფონდი დროებით სხვა სივრცეში იყოს გადატანილი, ხოლო მუზეუმის შენობის აღდგენისა და განახლების შემდეგ, კვლავ დაუბრუნდეს იმავე შენობას.**

**შეხვედრის შედეგად შეთანხმდა, რომ ოქროს ფონდის (10000-ზე მეტი ექსპონატი) დროებით საცავად იდენტიფიცირებულია და განხილულ იქნება ორი ვარიანტი:**

**ა) შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთი, უკანა კორპუსი, რომელიც, ე.წ. სემინარიის შენობისგან დამოუკიდებელია, მყარია და ის 1980-იან წლებშია აშენებული.**

**ბ) სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი, რომლის შენობის სიმყარე ასევე ეჭვს არ იწვევს.**

**პირველი სივრცე საჭიროებს სამუშაოების ჩატარებას, რის შემდეგაც, მასში ხელოვნების მუზეუმის ყველა ფონდი, მათ შორის ოქროს ფონდი, სრულად იქნება დაცული.**

**მეორე სივრცე კი უკვე მზადაა (როგორც საგამოფენო სივრცე, ასევე ფონდსაცავი), მაგრამ მისი ფართიდან გამომდინარე, მასში მხოლოდ ოქროს ფონდი (სრულად ან ნაწილობრივ) შეიძლება განთავსდეს.**

**შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებენ მუშაობას მოცემულ ორ სივრცეს შორის შესაბამისი არჩევანის გასაკეთებლად.**

**მინისტრის მხრიდან აღინიშნა, რომ ოქროს ფონდის დაზიანებული ზოგიერთი ექსპონატის რომელიმე სივრცეში გადატანამდე, UNESCO-ს ექსპერტების კვლევის შესაბამისად, პროფესიონალების მიერ მათი დროებითი გამაგრება უნდა განხორციელდეს და ოქროს ფონდის აღწერის პროცესი დასრულდეს.**

**კულტურის მინისტრმა მეუფე ვახტანგს ასევე აცნობა, რომ მუზეუმის შენობის ევაკუაციის დასრულების შემდეგ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დაიწყება ხელოვნების მუზეუმის დაზიანებული შენობის აღდგენის პროცესი“,** — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# საით წავიდნენ ბიჭები?...

## სენაკელი ბიჭის ვარსკვლავი ზეცას მოწყდა...



უმძიმესი დღეები დაუდგა საქართველოს 2008 წლის აგვისტოში. მტერი კვლავ შეეცადა ქართული მიწის აოხრებას. **ლევან თეფანია** სახლში ბოლოს ექვს აგვისტოს იყო. მისი მეუღლე ნატა ყალიჩავა იხსენებს, რომ **ლევანი უხასიათოდ გახლდათ: — არც უსაუზმია, ისე წავიდა ნაწილში. წინა საღამოს ბიჭებისთვის უთქვამს, რამე რომ მოხდეს და ომი დაიწყოს, ცოცხალი ვერ გადავრჩებიო. ჩემთვის კი არაფერი უთქვამს. ჩემი დედამთილიც უცნაურად იყო აფორიაქებული, რაღაცას ნერვიულობდა... ომი მართლაც დაიწყო... მე რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ შინ მშვიდობით დაბრუნდებოდა, მაგრამ...**

ის ცხრა აგვისტოს, დილით, ათ საათზე შეეხმიანა ტელეფონით მეუღლეს, ამშვიდებდა, მალე დავბრუნდებიო და სთხოვა, ბავშვს მიმიხედეო. მაშინ ნინიკო სულ ათი თვისა იყო, ბავშვმა ზუსტად მამის დაღუპვის დღეს წარმოთქვა პირველი სიტყვა — მამა!.. და ატირდა. ლევანი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, არ იცოდა, ნატა მეორე ბავშვზე რომ იყო ფეხმძიმედ... ეს თავად ნატამაც ლევანის დაღუპვის მერე გაიგო... რვა თვის შემდეგ დაიბადა მის კერაზე მეორე გოგონა — მარიამი.

სენაკში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, თეფანიების ოჯახში სამი ვაჟკაცი გაიზარდა. ლევანი 1979 წლის 21 აგვისტოს დაიბადა. დაამთავრა სენაკის №4 საშუალო სკოლა. მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. მიიღო უმაღლესი განათლება.

2007 წლიდან კონტრაქტით მსახურობდა ქართულ ჯარში, ამ დროს დაქორწინდა. ახალგაზრდებმა ერთად მხოლოდ წელიწადი და რვა თვე იცხოვრეს.



ლევანი II ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონის საცეცხლე ჯგუფის ყუმბარმტყორცნელი (რპგ) იყო.

...გაცხარებული ბრძოლები ცხინვალის რეგიონში. ისედაც ცხელი, პაპანაქება ზაფხული, სახმელეთო და საავიაციო დარტყმებით ალმოდებული ქართლი... თავგანწირული ბრძოლა უთანასწორო მტერთან, შეიარაღებასთან. თავდაცვითი, იძულებითი ომი იმ ერთი პატარა მიწის ნაგლეჯისთვის, რომელსაც სამშობლო ჰქვია...

თანამებრძოლნი იხსენებენ, თუ რა გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა მომხდურს გმირი. 22-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის კაპრალი ზუსტ საცეცხლე დარტყმებს აყენებდა მოიერიშეს და ახშობდა მათ შემოტევას.

მისი ჯარისკაცური სითამამე და შეუპოვრობა ბიძგს აძლევდა ქართულ შენაერთს წინსვლისათვის.

სულ ორიოდე კილომეტრი რჩებოდა ცხინვალამდე... ბრძოლით მიიკვლევდა გზას ყუმბარმტყორცნელი, მაგრამ... ცხრა აგვისტოს, ცხინვალთან ახლოს მდებარე სოფელ ხეთაგუროვოში, საბრძოლო დავალების შესრულების დროს მოწინააღმდეგის ნასროლი ტყვიით დაიღუპა 29 წლის კაპრალი ლევან ოთარის ძე თეფანია. გარდაცვალების შემდეგ გმირს მიენიჭა მედალი „მხედრული მამაცობისთვის“ და მედალი „სამშობლოსთვის თავდადებული“.

დაკრძალულია ქალაქ სენაკში. ქუჩა კი, სადაც ცხოვრობდა, დღეს მისი სახელობისაა.

როცა ქვეყანას დასჭირდა, ლევანი თავის ორ ძმასთან ერთად იდგა სამშობლოს სადარაჯოზე. აგვისტოს ომში მისი ვარსკვლავი ზეცას მოწყდა და ქართულ მიწას შეენივთა.: ის მუდამ წელგამართული დადიოდა, ზვიადი, ქედუხრელი, ადამიანური სიმართლითა და პატიოსნებით გაცისკროვნებული. ბავშვობიდანვე დედაბოძივით საყრდენად ედგა ოჯახს...

**ამ სიმაღლიდან გაიხსენებს გმირს მარადჟამს მშობლიური სენაკი.**

დრო ვერასდროს გაანელებს აგვისტოს ომის ტკივილს. ათწლეულებია, ომის აჩრდილი ზაფრავს საქართველოს. უწვერულვაშო გმირების სისხლით მორწყული მშობლიური მიწა ისევ კვნესის... უკვდავია იმათი სახელები, ვინც ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლას შეეწირა.

ცნობილი მკვლევარი კიტა აბაშიძე ბრძანებდა, — ქართველებს პოლიტიკური რომანტიზმი ახასიათებთ, რაც მკვეთრად უარყოფითი შედეგების მომტანია ქვეყნისთვისო. მეცნიერი ამბობს, რომ ჩვენნაირი ქვეყნისთვის უფრო უპრიანია პოლიტიკური რეალიზმი, რომლის დროსაც დაველოდებით ჩვენთვის მომგებიან სიტუაციას და პირდაპირ შედეგების გაუაზრებლად არ გადავეშვებით მღვრიე პოლიტიკურ მორევში, ახალგაზრდების დამღუპველ, წინასწარ გაგებულ ომებში...

„ხსოვნის კვირეული“, რომელიც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იქნება წარმოდგენილი, იმ ჯარისკაცების ხსოვნას ეძღვნება, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისთვის ბრძოლას.

13 წელია, რაც ზეციურ საქართველოში ამაღლდნენ მათი უმანკო სულები..

**დიდება და არდავიწყება აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს!**

## ქვალონელი კაპრალი

**გააფთრებული ბრძოლა ქალაქი ცხინვალისთვის.**

**ოკუპანტი მეზობელი უფრო და უფრო აძლიერებს შეტევას. საარტილერიო და საავიაციო დარტყმებით ინაცვლებს შიდა ქართლის ცენტრისკენ.**

**ფრონტის მეორე ხაზს ხსნის კოდორის ხეობაში, აფხაზეთის საზღვართან...**

ლეგენდად დარჩება ისტორიას მეოთხე ქვეითი ბრიგადის მებრძოლთა თავგანწირვა. ვინ გაზარდა ეს ბიჭები ასე გულადები? საიდან ამხელა სულიერი ძალა და სიწმინდე? მათმა ბავშვობამ ხომ მშობელი ქვეყნის სიდუხჭირეში გაიარა. ბევრი რამ აკლდათ, მაგრამ, თურმე, განგებას ამ თაობისთვის უდიდესი განძი — სამშობლოსა და უფლისადმი ურყევი სიყვარულის ძალა მიუმადლებია!

ომის სამი დღე და ღამე სამ საუკუნედ ექცათ ბრძოლაში დაღლილებს. აგვისტოს პაპანაქება სიცხე და დენთის კვამლი თითქმის შეუძლებელს ხდის ზედმეტ მოძრაობასაც კი, არამცთუ ბრძოლას. მაგრამ სხვეული ისე გაკაჟებიათ, სისხლი ისე უდუღთ ძარღვებში მოძალადის სიძულვილისგან, აღარც კი გრძნობენ სხეულს.

მათი სული უკვე ღვთის წინაშე დგას განწმენდილი და საოცრად ამაღლებული... ახლა ყველაზე მეტად მტერს ძლიერი სულის დამარცხება უჭირს.

ოცი წლის გოგიტა ქარჩავა, წარბჩარაზული ქვალონელი ბიჭი არ ეპუება მტერს და მისი ახალი იერიშის დროს კვალდაკვალ ცეცხლის შუაგულში გადაეშვება. 41-ე ქვეითი ბატალიონის III ასეულის მეტყვიამფრქვევე შეუჩერებლად ცეცხლს უხსნის შეტევაზე გადმოსულ მოძალადეებს. იცის, რომ ქართული ჯარის ბრძოლა სამართლიანია. იცის, რომ თავიც უნდა დაიცვას და ის მიწა-წყალიც, რომელიც წინაპართაგან ერგო... ისიც იცის, რომ არც ჩვენი წინაპარებისთვის ყოფილა იოლი სამშობლოს დღემდე ასე მოტანა... სამშობლომ ახლა მას დააკისრა დამცველის საპატიო მისია. გოგიტაც მზად არის ამ მისიის შესასრულებლად.

ცხრა აგვისტოს დილიდანვე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებია ქალაქისათვის. რუსეთმა მასიური სამხედრო ძალით კიდევ უფრო გააძლიერა თავისი არმია. თითქოს დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მოუყრია თავი რუსეთის იარაღის მთელ არსენალს — ცას და მიწას ცეცხლს უკიდებს დამპყრობელი.

მაღლა იყურება **გოგიტა ქარჩავა,** მზე უნდა დაინახოს — მზეც ტყვია-წამლის კვამლში გახვეული. ბურუსში მხოლოდ თავისი მეგობრების ლანდები ჩანან — მასავით თავგანწირული ბიჭები... წინ ქალაქია. ბატალიონის ზურგში კი — სოფელი ნიქოზი. კბილებამდე შეიარაღებული ოკუპანტი უმისამართოდ გვიშენს ჭურვებს, საავიაციო ბომბებს... მაინც არ ნებდებიან მეოთხებრიგადელები. მასიური ძალა შემოერტყა სოფელ ნიქოზს ცხინვალის მხრიდან. რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ალყა უნდა გაარღვიონ ქართველმა ჯარისკაცებმა, შეტევით იქნებ უკან დაახევინონ ცხინვალში შემოჭრილ ოკუპანტებს...

გოგიტა ქარჩავა საკუთარ თავზე იღებს პირადი შემადგენლობის სათადარიგო პოზიციაზე გადანაცვლებას. ძლიერ ცეცხლს ხსნის მტრის წინააღმდეგ. ამით მთელ ყურადღებას თავისკენ იქცევს თვაგანწირული ქართველი მეტყვიამფრქვევე. ოცი წლის ბიჭის ასეთი გაბედულება საშუალებას აძლევს მის თანამებრძოლებს მასიური ცეცხლი გახსნან მტრის მიმართულებით...

ზუსტად არავინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს შეტევა, მაგრამ როგორც კი ოდნავ მიწყნარდა სროლის ხმა, ბიჭების ყურადღება მძიმედ დაჭრილი მეტყვიამფრქვევის კვნესამ მიიპყრო...

სწრაფად დაიწყო დაჭრილთა ევაკუაცია ფრონტის ხაზიდან გორის სამხედრო ჰოსპიტლამდე. სამხედრო მანქანით ჯერ ისევ ცოცხალი ჩაიყვანეს კაპრალი გოგიტა ქარჩავა გორში. თანამებრძოლები იხსენებენ, რომ მტრის სნაიპერმა მეტყვიამფრქვევეს ზუსტი დამიზნებით ესროლა ნაღმი, რათა მისი ძლიერი ცეცხლის ხმა დაედუმებინა... წამებში აფეთქების ხმაც გაისმა ისე, რომ გოგიტამ ძირს დაწოლაც ველარ მოასწრო.

ათ აგვისტოს კაპრალის მდგომარეობა უფრო დამძიმდა. ოჯახში დარეკეს, რომ დაჭრილს სისხლის გადასხმა ესაჭიროებოდა. გამწარებული მიიჭრა უფროსი ძმა გოგიტასთან, აღარც ახსოვს, როგორ გამოიარა გზა მშობლიური სოფლიდან ქართლამდე, როცა მთელი ქვეყანა იბომბებოდა...

ველარ ჩამოუსწრო ცოცხალს... გაქვავებული გულით ჩამოასვენა მშობლიურ სოფელში სამშობლოსათვის შეწირული...

ოთხ ვაჟს ზრდიდნენ ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონში ნუგზარ ქარჩავა და ნაირა კოდუა. მშობლები შვილებს სამშობლოს სიყვარულს, შრომისმოყვარეობას და ავ-კარგის გარჩევას ასწავლიდნენ.

გოგიტა 1987 წლის 23 დეკემბერს დაიბადა. ქვალონის სკოლის ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სენაკის აგრარულ კოლეჯში. ბავშვობიდანვე იყო ფიზიკურად ძლიერი, ზრდილობიანი და მოწესრიგებული.

გოგიტამ ჯარში დარჩენა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ გადაწყვიტა. ის კომანდოს ბატალიონში ჩაირიცხა. 2007 წლის 6 ნოემბრიდან კი 41-ე ბატალიონის IIIასეულში მსახურობდა. კაპრალი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამებრძოლებში.

დედამისი, ქალბატონი ნაირა კოდუა ახლაც სათუთად ინახავს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ ქების სიგელს, ჯარში სამსახურის დროს საამაყო შვილის აღზრდისთვის რომ გამოუგზავნეს...

ვერ მოასწრო ოცი წლის ბიჭმა ოჯახის შექმნა, ვერც მემკვიდრე დატოვა.

გმირი ძმის სახელი გზას გაუნათებთ კახა, ზაზა და გოჩა ქარჩავებს. მარადიულ ტკივილად შერჩება მათ სულს გოგიტას სევდა.

სიკვდილის შემდეგ გოგიტა ნუგზარის ძე ქარჩავას მიენიჭა მედალი „მხედრული მამაცობისთვის“ და მედალი „სამშობლოსთვის თავდადებული“.

საქართველო არასოდეს დაივიწყებს მის სახელს. მოვა დრო და გმირს საფლავში ჩასძახებენ გამარჯვებული ქართველები:

**— შენი სამშობლო გამთლიანდა, კაპრალო!**

**რუბრიკას უძღვება ლია ჭიღლაძე**



## მოსალოდნელია დიდი სიცხეები

**შსს საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახური მოსახლეობას ტემპერატურის მკვეთრი მატების შესახებ აფრთხილებს.** სამსახური მოსახლეობას მოუწოდებს ტყის ხანძრების გაჩენის რისკის ზრდის ფონზე არ დაანთონ ცეცხლი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს.

**„გაცნობებთ, რომ ერთი კვირის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით მოსალოდნელია ტემპერატურის მკვეთრი მომატება, რის გამოც იზრდება ტყისა და მინდვრის ხანძრების გაჩენის რისკი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთოთ ცეცხლი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს და არ დატოვოთ ცეცხლის კერები უყურადღებოდ. გასათვალისწინებელია, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თვითაალება შეუძლიათ, შესაბამისად ნუ დაანაგვიანებთ გარემოს. დაკვამლიანების ან ცეცხლის შემჩნევის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ აცნობეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ს“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

## მეოთხე ტალღა კარსაა მომდგარი

**საქართველოში კორონავირუსის აქტიური შემთხვევების რაოდენობა 33 ათასს აჭარბებს, რასაც თენგიზ ცერცვაძის შეფასებით, ჯანდაცვის სექტორმა შესაძლოა ვერ გაუძლოს.** მისივე განცხადებით, არსებობს მეოთხე ტალღის დაწყებისა და ეპიდაფეთქების საშიშროება, რომელიც მოსახლეობამ რეკომენდაციების ზედმიწევნით დაცვით უნდა აღმოფხვრას. ინფექციური საავადმყოფოს ხელმძღვანელის განმარტებით, ინდური შტამი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად ცირკულირებს, რაზეც სიკვდილიანობის მაჩვენებელიც მეტყველებს.

**„მდგომარეობა უფრო სერიოზული გახდა. 5 ათასამდე შემთხვევაა დადასტურებული. ეს უახლოვდება იმ რეკორდულ მაჩვენებელს, რომელიც ნოემბერ-დეკემბერში გვქონდა. თუ ავიღებთ აქტიური შემთხვევების რაოდენობას, 33 ათასია, ცოტა მეტი. ჯერჯერობით ეს საქართველოსთვის ყველაზე მაღალი ციფრია. მივაღწიეთ იმ ზღვარს, რომლის შემდეგაც ჯანდაცვის სექტორს შეიძლება გაუჭირდეს უკვე ასეთი დიდი ნაკადების შეუფერხებელი მართვა“,** — განაცხადა ცერცვაძემ.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანა სატკუნაიტეს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანა სატკუნაიტე (პ/ნ 01005018737), თბილისი, დიღმის მასივი, 4 კვ, კორპ. 25, ბინა 84

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ჩაჩავას ქ. №4, სართული 12, ბინა 164 (საკადასტრო კოდი: 01.13.02.004.063.01.01.164).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 166486 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 3 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 17 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP72705121;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 727051

6. **მოვალე:** ანა სატკუნაიტე (პ/ნ 01005018737), თბილისი, დიღმის მასივი, 4 კვ, კორპ. 25, ბინა 84.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP72705121; ლოტის ნომერი: 727051).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 17 აგვისტოს 10:00 საათამდე.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვიტალი ჩირგაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვიტალი ჩირგაძე (პ/ნ 53001011367), თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შეს. №7, სად. 1, სართ. 5, ბინა №56

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შეს. №7, სად. 1, სართ. 5, ბინა №56 (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.172.01.02.056).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 4026.14 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 3 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 17 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP72706921;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 727069

6. **მოვალე:** ნათია ჩირგაძე (პ/ნ 53001016118), წყალტუბო, ს. გვიშტიბი, მე-7 ქ. №18.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP72706921; ლოტის ნომერი: 727069).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 17 აგვისტოს 10:00 საათამდე.

## გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
# ღია კონკურსი
## აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

### სამართლის ფაკულტეტი

- **კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** – სისხლის სამართალი
- **ვაკანტური ადგილი** – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** – კერძო სამართალი

**ვაკანტური ადგილი** – ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

### ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

- **კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** – ეკონომიკა

**ვაკანტური ადგილი** – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

- **კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** – ფსიქოლოგია

**ვაკანტური ადგილი** – ასისტენტი – 1 საშტატო ერთეული

- **კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** – მენეჯმენტი

**ვაკანტური ადგილი** – პროფესორი -1საშტატო ერთეული

- **კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** – კომპიუტერის გამოყენება

**ვაკანტური ადგილი** – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

- **კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** – მოგზაურობა, დასვენება, ტურიზმი

**ვაკანტური ადგილი** – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოებს 2021 წლის 03 სექტემბრიდან 2021 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 15:00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2021 წლის 13 სექტემბერს.

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

დაწვრილებითი ინფორმაცია კონკურსის თაობაზე შეგიძლიათ იხილოთ www.gttu.edu.ge ან დაგვიკავშირდეთ ნომერზე (+995 32) 2 66 15 12 (117 და 139)

ტრიუმფი




# ოქროს კაცი

**ტოკიოს ოლიმპიადის მე-13 დღე 6-ბალიანი მიწისძვრით გათენდა. როგორც მოსალოდნელი იყო, იაპონიის დედაქალაქში მთავარი ბიძგები სპორტის სასახლის ფიცარნაგზე დაფიქსირდა, სადაც სწორუპოვარმა ლაშა ტალახაძემ მეორე ოქროს მედლით გაიმდიდრა როგორც პირადი ოლიმპიური კოლექცია, ისე, რაც მთავარია, ქართული დელეგაციის წლევანდელი ყულაბა.**

დიდგორში ძლევაი საკვირველის 900 წლისთავამდე ერთი კვირით ადრე ჩვენმა ლეგენდარულმა თანამედროვემ, უკვე მერამდენად, დაამტკიცა, რომ კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, რომელთა მომავალ ტრიუმფებსაც საფუძველი საამაყო წინამორბედ თანამემამულეთა – რაფაელ ჩიმიშკიანის, დიტო შანიძის, კახი კახიაშვილის, გიორგი ასანიძის, არსენ კასაბიევისა და ირაკლი თურმანიძის მიღწევებით აქვს ჩაყრილი.

სიმბოლურია, რომ აღნიშნული შესანიშნავი შვიდეულისა არ იყოს, გუშინ ჯილდოებისთვის ბრძოლაში ასევე შვიდი გოლიათი ჩაება, თუმცა ყველამ ვიცოდით, რომ ეს უთანასწორო ბრძოლა იყო, რადგან ჩვენი „ადამიანი – ოქრო“ პირველობის შანსს არავის მისცემდა და მეტოქეთა მთავარი საზრუნავი მხოლოდ დანარჩენ პოზიციებზე დამკვიდრება იქნებოდა.

მართლაც, საჩხერელმა მოვლენამ პირველივე ცდებით გაინაღდა გამარჯვება როგორც აქტაცში, ისე აკვრაში, რაც, ბუნებრივია, ორჭიდში წარმატებითა და მსოფლიო რეკორდებით დაგვირგვინდა!

ისიც საკრალურად გვენიშნა, რომ ტელერეპორტაჟის დროს დიქტორებმა თვით ვასილი ალექსეევი და ლეონიდ ტარანენკო ახსენეს, რომელთა მიღწევებიც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სპორტულ სამყაროს მარადიულად მიაჩნდა.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ – შორს არაა ის დღე, როცა ლაშა ტალახაძე 500-კილოგრამიან ზღვარსაც გადალახავს!

### +109 კგ

**ატაცი.** **ლაშა ტალახაძე – 223 კგ, ალი დაუდი – (ირანი) – 200 კგ, მან ასაადი (სირია) – 190 კგ.**

**აკვრა. ტალახაძე – 265, დაუდი – 241, ასაადი – 234 კგ.**

**ორჭიდი. ტალახაძე – 488, დაუდი – 441, ასაადი – 424 კგ.**

**გიორგი შოთაძე**

ძალოსნობა

# ცალი ფეხით...

**საქართველოს ძალოსანთა ნაკრების წევრი ანტონ პლესნოი (96 კგ) წარმოშობით უკრაინელია. რამდენიმე წლის წინ მან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო და მნიშვნელოვან შეჯიბრებებშიც ისახელა თავი: 2019 წელს ტაილანდურ პატაიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე აქტაცში (181 კგ) ოქროს და ორჭიდში (394 კგ) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. იმავე წელს 23-წლამდელთა ევროპის პირველობაზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა, ბათუმში კი უფროსების კონტინენტის ჩემპიონატზე აქტაცში მეორე და ორჭიდში მესამე ადგილებზე გავიდა, ხოლო წლეულს 9 აპრილს მოსკოვში ევროპის ჩემპიონატზე სამი ოქროს მედალი მოუტანა საქართველოს ნაკრებს.**



პლესნოიმ ტოკიოს ოლიმპიადაზე 177 კილო აიტაცა და ამ მოძრაობის მერე მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფდა. აკვრისას 206 კილო რომ დაძლია პირველ ცდაზე, ფიცარნაგი კოჭლობით დატოვა - მარცხენა მუხლის ტრავმამ შეახსენა თავი. ეს იყო მიზეზი, მეორე ცდისას 210 კილოს რომ ვერ გაუმკლავდა. გუნდის ექიმებმა და მწვრთნელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ იგი ფიცარნაგზე დაბრუნებულიყო და ბოლო ცდაზე, ფაქტობრივად, ცალ ფეხზე მდგარმა ასწია 210 კილოგრამი, რითაც ორჭიდში 387 კილოს მოუყარა თავი და ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. ამდენივე მოაგროვა ვენესუელელმა ვალენილამ, მაგრამ მან ეს წონა პირველმა დააფიქსირა და ვერცხლის მედალიც მას ერგო. ოლიმპიური ჩემპიონობა ყატარელმა ფარეს იბრაჰიმ ელ-ბახმა მოიპოვა, რომელმაც აკვრასა (225) და ორჭიდში (402) ოლიმპიური რეკორდები დაამყარა.

### 96 კგ

**1.ფარეს იბრაჰიმ ელ-ბახი** (ყატარი) – 402 (177+225),
**2. კეიდომარ ვალენილა** (ვენესუელა) – 387 (177+210),
**3. ანტონ პლესნოი** (საქართველო) – 387 (177+210).

**გივი გაგუა**

ჭიდაობა

# მარცხი ლეგენდასთან

**ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე იაკობ ქაჯაია (130 კგ) 2019 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანია. ამავე წელს მან მინსკში მეორე ევროპული თამაშები მოიგო, ხოლო ევროპის ჩემპიონატებზე, საერთოდ, ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავა. პირადი მონაგარი ტოკიოში მან ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლით გაიმდიდრა.**

შეჯიბრების სტარტზე ქაჯაიამ ფინელ ელიას კუოსმანენს 3 წუთზე ნაკლებ დროში ცხრა ქულა აართვა და ორთაბრძოლა აშკარა უპირატესობით მოიგო, მერე რუს სერგეი სემიონოვს სძლია მძიმე პაექრობაში 3:1 და რიოში მარცხისთვის რევანში აიღო. ნახევარფინალში თავიდან ჩილეს სახელით მოასპარეზე კუბელი იასმანი ფერნანდეს აკოსტა დაწინაურდა, მაგრამ ჩვენებურმა წონასწორობა აღადგინა და ბოლოს მოპოვებული ქულის უპირატესობით ფინალში გავიდა. აქ ქაჯაია ლეგენდარულ კუბელ ფალავანს – სამგზის ოლიმპიურ და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონ მიაინ ლოპეს ნუნიესს შეხვდა. კუნძულელმა ამ შეხვედრაშიც დაამტკიცა, რომ ის პლანეტაზე უძლიერესია, გაიმარჯვა 5:0 და მეოთხედ მოიპოვა ოლიმპიური ოქრო, რითაც რუსი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრ კარელინის მიღწევა გააუმჯობესა.

ჩინებულად ჩაება ტურნირში 67 კილოში მოასპარეზე ახალგაზრდებში ყველა უმაღლესი ტიტულის მფლობელი აჭარელი ფალავანი **რამაზ ზოიძე,** რომელმაც კუბელი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ბორერო დაამარცხა – 3:2.



მას შემდეგ, რაც ჩვენმა იმედმა ლტოლვილთა გაერთიანებული გუნდის წარმომადგენელი ალ ოვაიდი ეფექტური ილეთებით 10:0 ათრია ხალიჩაზე, საპატიო კვარცხლბეკისკენ მწვანე შუქი აენთო, მაგრამ...

ჯერ იყო და ნახევარფინალში ირანელ ქელაისთან მეორე პერიოდში დაუმსახურებლად ჩააყენეს ჩოქბჯენში, რამაც მეტოქეს მომგებიანი გდებების შესრულებაში შეუწყო ხელი, ხოლო გუშინ ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში მსოფლიოს სამგზისა და ევროპის ორგზის გვირგვინოსან გერმანელ შტაბლერთან დაუჯდა ძვირად პასიური სტარტი – 0:5-ის შემდეგ 4:5.

ასე რომ, ქართველმა „კლასიკოსებმა“ იაპონური ფორუმი ერთადერთი „ვერცხლით“ დაასრულეს.

**ლაშა დიდია**

ძიუდო

# ვერცხლით დაამძიმა



**ტოკიოს ოლიმპიურ ტატამზე ქართველმა ძიუდოისტებმა (მთავარი მწვრთნელი ლაშა გუჯეჯიანი) შესანიშნავი შედეგი აჩვენეს – ერთი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი მოიპოვეს და საერთო შედეგით მხოლოდ იაპონელებს ჩამორჩნენ.**

როგორც ვწერდით, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ლაშა ბექაური ავიდა, ვერცხლის მედლები კი ვაჟა მარგველაშვილმა და ლაშა შავდათუაშვილმა დაისაკუთრეს. კიმონოიანთა ინდივიდუალური ასპარეზობის ბოლო დღეს საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ყულაბას მძიმე წონაში კიდევ ერთი „ვერცხლი“ შესძინა გურამ თუშიშვილმა (+100), რომელიც პირველ წრეში თავისუფალი იყო, ხოლო შემდეგ ზედიზედ დაამარცხა ტაჯიკი თემურ რახიმოვი, ბრაზილიელი რაფაელ სილვა, რუსი ტამერლან ბაშაევი და ფინალში გავიდა, სადაც ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ჩეხ ლუკაშ კრპალეკს დაუპირისპირდა. ქართველ ძიუდოისტს აქამდე ორჯერ ჰყავდა ტიტულოვანი მეტოქე დამარცხებული. გადამწყვეტ ორთაბრძოლაშიც მას ორი გაფრთხილება მიაღებინა და გამარჯვებასაც თითქოს არაფერი აშორებდა, მაგრამ ძირითადი დროის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე კრპალეკმა ვაზარი აართვა ჩვენებურს, შემდეგ კი შებოჭა და იპონით მეორედ მიაღწია ოლიმპიურ ჩემპიონობას. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი თუშიშვილი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

**ლექსო ცინცაძე**

# ირაკლი ქაშაკაშვილი



69 წლისა კოვიდით გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და მეტალურგი, სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი, პროფესორი ირაკლი ქაშაკაშვილი. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ირაკლი ქაშაკაშვილი პაპის, გამოჩენილი მეტალურგის ნიკოლოზ ქაშაკაშვილის კვალს გაჰყვა. წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში.

მან ინჟინერ-მეტალურგის სამაგალითო შრომითი გზა განვლო. მუშაობდა მეფოლადედ, თბოტექნიკოსად, ოსტატად, ცვლის უფროსად, საამქროს უფროსის თანაშემწედ. ამ პერიოდში მისი უშუალო მონაწილეობით შემუშავდა ნავთობმოსაპოვებელი მილების საწარმოებლად ახალი დეგილებური მარკის ფოლადების გამოდნობის, ჩამოსხმის და გლინვის ტექნოლოგიები, რაც აღინიშნა გამოგონების დიპლომებით პატენტებით, ინსტიტუტში მუშაობისას გახდა იგი აკადემიური დოქტორი.

მარტენის საამქროში ფოლადის დნობის ოსტატად მუშაობისას მონაწილეობა მიიღო მსოფლიოში პირველად ფოლადის გამოსაშვები ხვრელიდან დნობის განხორციელებაში ბუნებრივი აირისა და ჰაერის შებერვით, საუკეთესო საწარმოო-ეკონომიკური ხარისხობრივი და ეკოლოგიური მაჩვენებლებით, რაც 2009-2011 წ. და 2016 წელს №390-437-497 მეცნიერული აღმოჩენებით დაკანონდა.

XX-XXI საკუკუნეში ქართველი მეცნიერების სულ 6 მეცნიერული აღმოჩენაა რეგისტრირებული. 3 ფიზიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერთ ეკუთვნით.

ირაკლი ქაშაკაშვილი ღრმა მეცნიერულ საფუძველზე უკითხავდა ლექციებს ბაკალავრებს, მაგისტრებს, დოქტორანტებს, რომლებიც დღეს წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საწარმოებში, მას 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი აქვს. მათ შორის 43 ნოვაციური გამოგონება, დაპატენტებული საქართველოში, რუსეთსა და ჩინეთში. სამი მეცნიერული აღმოჩენის გარდა, იგი ავტორია 14 მონოგრაფიისა ქართულ ენაზე ფოლადის მეტალურგიის პირველი სახელმძღვანელოსი, ექვსენოვანი (ქართული, რუსული, უკრაინული, ინგლისური, ფრანგული), 2-ათასგვერდიანი მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონების და სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედიის ორტომეულებისა, რომელთაც ხელს აწერენ საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის აკადემიათა პრეზიდენტები.

ირაკლი ქაშაკაშვილი იყო რუსეთის საბუნებისმეტყველების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და ამავე აკადემიის საქართველოს განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

წარმატებული საწარმოო და პედაგოგიური მუშაობისთვის დაჯილდოებული იყო ვერნანდსკის ოქროს მედლით და ნობელის პრემიის ლაურეატის პეტრე კაპიცას ორი ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

ირაკლი ქაშაკაშვილის ყველაზე საპატიო ჯილდოა დიდი მეცნიერის სახელის მოხვეჭა.

**ანზორ გაბისონია, ალექსანდრე გორდეზიანი, ნაზი კუციავა, ლევან ოტიაშვილი, თამარ ლოლაძე, ზურაბ ლომსაძე, ბადრი მაისურაძე, სლავა მეზონია, ომარ მიქაძე, მაია მშვილდაძე, დავით ნოზაძე, მიხეილ ოქროსაშვილი, ზურაბ საბაშვილი, ზიზი სვანიძე, ზურაბ სიმონგულაშვილი, ამირან ქაშაკაშვილი, ბენედიქტე ქაშაკაშვილი, გურამ ქაშაკაშვილი, ნუგზარ წერეთელი, თენგიზ წივწივაძე, ჯუმბერ ხანთაძე, ამირან ხვადაგიანი, ნუგზარ ხიდაშელი, მალხაზ ხუციშვილი.**

მეუღლე დოდო წულაია, შვილები თეა, თამთა სიგუები, და ეთერი, ძმები ჯემალ, ტარიელ სიგუები, სიძეები დათო დუნდუა, კახა ფირცხალავა, შვილიშვილები ნუცა, ნიკოლოზი, მარიამი და ეკატერინე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



## რევაზ მიხეილის ძე სიგუა

უახლოესი მეგობრები — **ოთარ ფაცაცია, დემურ გადელია, გონდო ჯიქია, ოთარ ჭითანავა, სპარტაკ ხუნწარია, სპარტაკ ქოზულია, ტარიელ დგებუაძე, ლერი ჭითანავა** თანაუგრძნობენ ჯამბულ წულაიას სიძის, ღირსეული პიროვნების

## რეზო სიგუას

გარდაცვალების გამო.

მეგობრები თბილისის ყოფილი პიონერთა სასახლის დრამატული წრიდან იდა ხელაძე, ლამარა ჯაფარიძე, თენგიზ არჩვაძე, ლეო ანთაძე, თეიმურაზ ებრალიძე დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ 40 დღის წინ პანდემიას ემსხვერპლა უნიჭიერესი და უსაყვარლესი ქალბატონი

## ლამარა ბაძაღუა

ნათელში გვიმყოფოს უფალმა მისი სული.




# ქართული ღვინის დელეგაცია პეკინში

**ჩინეთი რჩება ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრად, სადაც ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, 2021 წელს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებები ტარდება.**

სააგენტოს მხარდაჭერით, ქალაქ პეკინში, „ქართული ღვინის საპრომოციო ცენტრში" ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. პროფესიონალი სტუმრების წინაშე ქართული ღვინის მრავალფეროვნების, ისტორიისა და კულტურის შესახებ დოქტორმა ჰუანგ იუტონგმა ისაუბრა, ხოლო დეგუსტაციას ღვინის პროფესიონალი კესიდი დარტი უძღვებოდა. ქართული ღვინის წარდგენას 50-მდე დისტრიბუტორი, სომელიე და კვების ინდუსტრიის წარმომადგენელი დაესწრო. აღნიშნული ღვინის ნიმუშები ჩინეთში წარმოდგენილი ქართული ღვინის იმპორტიორების მიერ შეირჩა. ქართული ღვინის ექსპორტის მიმართულებით, 2021 წელი პოზიტიური ტენდენციით დაიწყო — მიმდინარე წლის 7 თვის მონაცემებით, საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებულია 3,2 მლნ ბოთლი ღვინო, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7%-ით აღემატება.



# სახლიდან გაპარვას ჩვეული...

**ლაგოდეხში მცხოვრები 14 წლის მოზარდი, რომელსაც 4 დღე ეძებდნენ, სახლში დაბრუნდა. მოზარდი სახლიდან წასვლის შემდეგ თბილისში იმყოფებოდა. მან ოჯახის წევრებს განუმარტა, რომ გზა აერია და სახლში დაბრუნებას ამ მიზეზით ვერ ახერხებდა.**

„რუსთავი 2"-ის ცნობით, არასრულწლოვანი სოფელ თამარიანში ცხოვრობს. მისი დაკარგვის შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ოჯახმა მიაწოდა, რის შემდეგაც ფაქტზე გამოძიება 143-ე, თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით მიმდინარეობდა. ოჯახის ინფორმაციით, ეს მოზარდის დაკარგვის პირველი შემთხვევა არ არის.


## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).




# „გამოღვიძება" შეკვეთილში

**წლევანდელი ზაფხული შეკვეთილში დამსვენებლებისთვის და არამარტო მათთვის განსხვავებული იქნება. მუსიკოსთა პარკში მულტიფუნქციური სივრცე გაიხსნა, სადაც ყველა კოვიდრეგულაციის მკაცრი დაცვით 4 კვირაზე გათვლილი, ყველა ასაკსა და ინტერესზე მორგებული ღონისძიებების სერია გაიმართება.**

„გამოღვიძება", — ასე ჰქვია ეკომეგობრულ, სოციალურ პროექტს, რომელიც „ბლექ სი არენას" და მუსიკოსთა პარკის გუნდებმა ერთობლივად შეიმუშავეს და რომლის მიზანია ადამიანები გარემოზე ზრუნვის, წარმატების გაზიარებისა და ერთმანეთის მხარდაჭერის აუცილებლობაზე დააფიქროს.

ⓞ პოეტის ერთი ლექსი

# ქართველი ემიგრანტი ირმა ირემაძე ათენის აკროპოლთან

ინტერნეტში სტატუსებს პოსტავს და პოსტავს,
დროსა და სივრცეში მომენტალურად,
ფოსტა მტრედს მისი გადმოაქვს ფოსტა,
ცეცხლივით ცხელი კომენტარებით...

წისქვილის ქვა და კალოთი კევრი,
მის თავზე ტრიალებს და ბლოკავს იმედს,
მე არ გამიგია არასოდეს ცრემლი,
ემიგრანტის ცრემლზე უფრო მძიმე.

მის ხმაში კივის სამშობლოს სევდა,
ათონის მთაზე გაშლილი ფრთების,
სიზმარში ხედავს გარდაცვლილ დედას,
და მისი ცხელი ცრემლებით თბება.

მისი სხეულის სული ლამაზი,
ჰარმონია და ცისარტყელას ფერები,
დგას აკროპოლთან, როგორც ძუ ავაზა,
ავაზას ვერავინ ვერ მოერევა....

მის სახეზე არ მინახავს ღიმილი,
მაგდალინელს მაგონებს მისი სურათი,
თვალები ლამაზი, თამარის ღილივით,
მკერდი — მოკაზმული არმაზის სუროთი.

ის უნდა ამშვენებდეს მეფეთა პალატებს,
რომ არა ამდენი პიგმეის მზაკვრობა,
მე იმისთანა საქართველოს შევნატრი,
როცა ის დაარწევს მცხეთაში აკვანს,

დედის საფლავზე მიიტანს ყვავილებს,
კიდევ ბევრი რამ მინდოდა მეთქვა,
ჩვენ არც გავქრებით, არც დავილევით,
მის გულში იმისთანა საქართველო ფეთქავს.

ის უნდა კრეფდეს გონიოში ფორთოხალს,
აქ, ჩვენი დუხჭირი ცხოვრება რომ არა,
უმისოდ ვინ მომკის, უმისოდ ვინ მოხნავს,
ვინ დაწერს ჩვენი ცხოვრების რომანებს.

ნურავინ დამძრახავს, მე ის ქალი მიყვარს,
სიზმრებიდან მე იგი სამშობლოში მომყავს,
ის ქალი ღირსია, ყველას გულში უყვარდეს,
მაგრამ არავის თავში არ აუვარდეს.

თბილისის ომმა და სისხლიანმა რეჟიმმა,
ბევრი ქართველი ემიგრანტად აქცია,
„В эмиграции не просто бежала“
ემიგრაციაში არავინ გაქცეულა,
ემიგრანტებად ცხოვრებამ აქცია.

გადამდებია ამ ქალის ტკივილი.
ამ სიშორიდან მის გულში ვიხედები —
რიონის ხეობის ქარების კივილი,
ომში უსახელოდ დაცემული მხედარი.

მის გულში ბრუნავს რიონის მორევი,
მის გულში გიზგიზებს ხალიბური ცეცხლი,
არ არის ძალა იმ ქალის მომრევი,
ვერ მოხიბლავ ოქროთი, მით უფრო ვერცხლით.

**P.S.** შენ, გევედრები ჩემო Ave Maria,
ემიგრანტებს გაუღე სამშობლოს კარი,
დღეს საქართველოში ჯოჯოხეთის ქარია,
ამდენი ტრაგედია თავსაყარად კმარა!
კმარა!



**შოთა ზოიძე,**
30 ივლისი, 2021 წ. ქ. ბათუმი

## ლევილის მამულს კულტურის სამინისტრო უპატრონებს

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით, პარიზში ლევილის მამულის მმართველი კომიტეტის პირველი სხდომა გაიმართა.



**„საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამული 25-წლიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, 2016 წელს საქართველოს დაუბრუნდა საქართველოს მთავრობის, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანისა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გელა დუმბაძის დიდი ძალისხმევის შედეგად.**

**მამულში განსახორციელებელ პროექტს ოფიციალურად ეწოდა „პირველი რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრი“. „ლევილის ქართული აკადემია“ და საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, რომ მამულის სრული რეაბილიტაცია 10 წლის ვადაში უნდა განხორციელდეს. მამულში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება-განხორციელება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით 2017 წლიდან მიმდინარეობდა. მიმდინარე წლის 27 ივნისს კი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, ლევილის მამულის მმართველი კომიტეტის სხდომაზე მამულში კულტურის კერის შექმნის პროექტის შემდგომი ხელმძღვანელობა საგარეო საქმეთა სამინისტრომ დარგობრივ უწყებას — კულტურის სამინისტროს გადასცა.**

**სწორედ სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდგომი სამოქმედო გეგმის თაობაზე იმსჯელეს ლევილის მამულის მმართველის კომიტეტის პირველ სხდომაზე, რომელსაც როგორც ზემოთ აღინიშნა თეა წულუკიანი ხელმძღვანელობდა. სხდომაში მონაწილეობდნენ კომიტეტის წევრები ირენ ციციშვილი, ტიერი ბერიშვილი, ოთარ ზურაბიშვილი და ნინო კალატოზიშვილი. ასევე, თბილისიდან ონლაინ ფორმატში მიიღო სხდომაში მონაწილეობა კომიტეტის წევრმა გოჩა ჯავახიშვილმა“,** — აცხადებენ კულტურის სამინისტროში.

## ვანდალებმა თბილისში მაჰათმა განდის ძეგლი დააზიანეს

ფაქტისა და ზოგადად, ვანდალიზმის პრობლემის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.



**„როგორც იცით, 10 ივლისს, ვარკეთილში მდებარე სკვერში, ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწის, მაჰათმა განდის ძეგლი გაიხსნა. სამწუხაროდ, ძეგლი უკვე დაზიანებულია, კერძოდ, მოხსნილია სათვალე. ძეგლს მოჰპარეს სათვალე, არ ვიცი, რა უნდა ვთქვა ამაზე. რა თქმა უნდა, არის სხვა ფაქტებიც და ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი. რთულია მისცე ამ ყველაფერს შეფასება. კიდევ უფრო ძნელია იმის გააზრება, რომ ხშირად ვანდალიზმის ჩამდენი პირები არიან მოზარდები და მათ აგრესიულ ქცევას, ვანდალიზმს მშვიდად ადევნებენ თვალს უფროსები“,** — განაცხადა კახა კალაძემ. თბილისის მერმა ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მოსახლეობას გვერდში დგომისკენ მოუწოდა.

## „მოინახულეთ ვარძია, მისტიკური საოცრება!“

**Forbes ესპანეთი 7 შთამბეჭდავ მიმართულებას ასახელებს, რომლის მონახულებაც სწVІ3-19-ის პირობებშიც შესაძლებელია.** პოპულარული გამოცემა მკითხველს ირლანდიის, ნამიბიის, ბოლივიის პარალელურად, საქართველოში ვარძიის მონახულებას ურჩევს.

**„ეს მისტიკური XII საუკუნის ადგილი, ჯავახეთში, ასპინძის რაიონში, ზღვის დონიდან 1300 მეტრზე მდებარეობს. მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი გამოქვაბული ქალაქი, სადაც შესაძლებელია ღრმა ჩაძირვა კლდოვან მთაში საიდუმლო გადასასვლელებით.**

**300-მდე დარბაზი შემორჩა საუკუნეებს, ასევე სარწყავი მილები, რომლებიც დღემდე ფუნქციონირებს, 15 ეკლესია მოჩუქურთმებული ქვაში და 28 მარანი თიხის ქოთნებით. გარდა ამისა, მისი გალერეების შესწავლისას შესაძლებელია მეფე გიორგისა და მისი ქალიშვილის თამარის პორტრეტის პოვნა, რომელიც დაკავშირებულია ვარძიის მონასტრის ისტორიასთან“,** — აღნიშნულია სტატიაში.

Forbes-ის ესპანური გამოცემა მკითხველს ვარძიაში მოსახვედრად საქართველოში არსებულ კოვიდშეზღუდვებს აცნობს და წერს, რომ საჭიროა სრული ვაქცინაციის საბუთი და უარყოფითი PCR ტესტი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

**ავტორთა საყურადღებოდ!**
**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 11 აგვისტოს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.1048; ევრო - 3.6919;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3247;
100 რუბლი - 4.2633; თურქული ლირა - 0.3729;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8265;
1000 სომხური დრამი - 6.3566.

**ამინდი 5 აგვისტოსთვის**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე | +39 | |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე | +37 | |
| დასავლეთი საქართველო: | | | | | |
| ბარი - | ღამე | +20, | დღე | +37 | |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +16, | დღე | +36 | |
| თბილისი: | ღამე | +22, | დღე | +37 | |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge